პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 229 (13045)
ოთხშაბათი,
30
სექტემბერი,
1964 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

უფრო მაღლა — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პირველი ინტერნაციონალის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საგეიმო კრებაზე

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რომ აღვნიშნოთ დიდი მოვლენის — პირველი ინტერნაციონალის დაარსების ასი წლისთავი, რომ ჯეროვანი პატივისცემით მოვიხსენიოთ პირველი ინტერნაციონალის დაარსებლები და ბელადები, მუშათა საერთაშორისო გაერთიანების გენიალური ხელმძღვანელები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნების მოწინავე მუშათა წარმომადგენლები ლონდონში შეიკრიბნენ, რათა ერთად განეხილათ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ შრომის ადამიანთა უფლებებისა და ინტერესებისათვის, რა უნდა გაეკეთებინათ, რომ მოსპოთ ხალხებისათვის საძულველი სისტემა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა?

განსულ საუკუნის შუა წლებამდე იტყრია ისე ვითარდებოდა, რომ ერთი ექსპლოატატორული წყობილება მეორეს ცვლიდა. ძველ მჩაგვრელებს ახალი მჩაგვრელები ცვლიდნენ, მშრომელები კი ყველავ ბოლატაკენა და უუფლებობაში ცხოვრობდნენ.

შექმნეს რა ინტერნაციონალი, პროლეტარებმა პირდაპირ და მტკიცედ, როგორც შეეფერება დიად კლასს, საჯაროდ განაცხადეს: ქმარა! ჩვენ, ყველა ჩაგრულთა წარმომადგენლნი, ბრძოლაში ვიწვევთ ბურჟუაზიას. ჩვენ ვაცხადებთ: ჩვენი მიზანია მოვსპოთ ყოველგვარი ექსპლოატაცია, ყოველნაირი ჩაგვრა. შეექმნათ ახალი საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად დაედება შრომის ადამიანთა ძმობა!

პირველი ინტერნაციონალი უაღრესად ძვირფასია ჩვენთვის. კომუნისტებისათვის, იმიტომ, რომ მან დაიწყო კაპიტალიზმის ჯუნგლების გაკაფვა, პირველი ბილიკი გაიკვალა სინათლისაკენ, სოციალისტური მომავლისაკენ, ის ბილიკი, რომელიც მუშათა კლასმა თავისი გმირული ბრძოლის ასი წლის განმავლობაში პროგრესის ძირითად მაგისტრალად გადააქცია!

როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, „პირველმა ინტერნაციონალმა საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური იერიშის მოსამზადებლად, საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის“.

ოფიციალურად პირველ ინტერნაციონალს „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“ ეწოდებოდა. ამ სიტყვებში ღრმა აზრია. საუკუნეთა განმავლობაში ექსპლოატატორები ცდილობდნენ გაეთიშათ ექსპლოატირებულნი, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო მათი დათრგუნვა. მათი გაყვლეფა. კაპიტალისტებს მშვენიერად ესმით, რომ თუ ისინი შეძლებენ ჩამოაშორონ თავიანთი ქვეყნის მუშები სხვა ქვეყნების მუშებს, ან მით უმეტეს წააჩხუბონ ისინი ერთმანეთს, მაშინ შეეძლებათ უფრო მშვიდად გამდიდრდნენ და იბატონონ. ბურჟუაზიის ლოზუნგი. ექსპლოატატორთა ლოზუნგი ყველა ქვეყანაში ერთნაირია — „გათიშე და იბატონე!“.

მარქსმა და ენგელსმა ბურჟუაზიის ამ პოლიტიკას დაუპირისპირეს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძალების გაერთიანების პროლეტარული პოლიტიკა. ინტერნაციონალი სწორედ იმით არის ძვირფასი ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, რომ მან პირველმა დაიწყო ამ პოლიტიკის განხორციელება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი უმნიშვნელოვანესი, ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომელიც მუშათა საერთაშორისო ამხანაგობამ დაგვიტოვა. იყო მისი სულისკვეთების. მისი ანდერძის ერთგული — უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იყო ინტერნაციონალისტი. ეს ნიშნავს ძალღონეს არ ზოგავდე, რომ კიდევ უფრო განამტკიცო შრომის ადამიანთა მსოფლიო კავშირი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. ეს ნიშნავს ყველაფერი გააკეთო სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის! (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! დღეს, როცა მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რას მიაღწია მუშათა კლასმა, ბევრი გაჩნდა იმის მსურველი, რომ ინტერნაციონალის მემკვიდრე უწოდოს თავის თავს. მაგრამ ინტერნაციონალის მემკვიდრედ ყოფნა პასუხსაგები, უაღრესად პასუხსაგები საქმეა! იყო ინტერნაციონალის მემკვიდრე — ნიშნავს საქმით ახორციელებდე მის მიერ გამოცხადებულ მიზნებს, ნიშნავს განუწყვეტლივ შეგქონდეს რეალური წვლილი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

და ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ: კომუნისტები აღნიშნავენ ინტერნაციონალის მეასე წლისთავს როგორც მისი დიადი რევოლუციური ტრადიციების ერთგული მემკვიდრენი. ინტერნაციონალის დროშა მაღლა უჭირავთ მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს! (ძლიერი ტაში).

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, განსაკუთრებული გრძნობით აღვნიშნავთ დღევანდელ იუბილეს. ამ დღეს არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ ინტერნაციონალში რუსული სექციაც იყო, რომ რუსი რევოლუციონერები მონაწილეობდნენ მის ბრძოლაში. არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ რუს რევოლუციონერთა პირველი წარმომადგენელი ინტერნაციონალში იყო დიდი მარქსი! (ძლიერი ტაში).

და კარლ მარქსს რომ შეეძლოს ჩვენთან ერთად იზეიმოს ინტერნაციონალის მეასე წლისთავი, იგი დიდი ქმაყოფილებით გადახედავდა დღეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ხალხის მიღწევებს. ჩვენი მხრივ, ჩვენც შევძლებდით ამაყად გვეთქვა მარქსისათვის: ის, რისთვისაც თქვენ პროლეტარიატს მოუწოდებდით, რეალობად იქცა ჩვენს ქვეყანაში! (ტაში). დღეს საბჭოთა ქვეყანაში არის უკვე არა რევოლუციონერთა პატარა სექცია, არამედ მძლავრი და ნაწრთობი კომუნისტური პარტია, რომელიც თქვენმა მოწაფემ და თქვენი რევოლუციური საქმის განმგრძობმა დიდმა ლენინმა შექმნა. (ტაში). დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელნი თავიანთ ბრძოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის უოყლისმძლე მოძღვრებით ხელმძღვანელობენ. და მთელი ჩვენი ხალხი კომუნიზმის პოზიციებზე დგას!

თავისი არსებობის თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი ლენინური პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებთან. ინტერნაციონალის ანდერძი, მარქსის, ენგელსის, ლენინის ანდერძი ჩვენი პარტიისათვის წმიდათა-წმიდა იყო და არის! (ტაში). ჩვენს პარტიას კმაყოფილებით შეუძლია ილიაპარაკოს თავის წვლილზე საერთაშორისო მუშათა კლასის საქმეში.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა განახორციელა დიდი ოქტომბრის რევოლუცია. მან დაამხო კაპიტალიზმი და ამით შეასრულა ინტერნაციონალის უპირველესი ანდერძი — ბოლო მოუღო ექსპლოატატორთა ბატონობას პლანეტის მეექვსედ ნაწილზე.

ოქტომბრის გამარჯვებამ რევოლუციური ხანძარი ააგიზგიზა აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენი ხალხი შეუპოვრად შრომობდა და იბრძოდა. მან მსოფლიოში პირველმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, გარდაქმნა თავისი სამშობლო, თავისუფალი და ძლიერი გახადა იგი. სოციალიზმმა გაათავისუფლა ხალხის ნიჭი, უსაზღვრო სივრცეები გადაუშალა შემოქმედებისათვის, ადამიანის ცხოვრება მისი მაღალი მოწოდების ღირსი გახადა.

დღეს ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვაჩნია, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ წარმატებით ვაშენოთ კომუნიზმი, შევქმნათ მშვიდობისა და სიუხვის საზოგადოება, რომელშიც თვითეული მის მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა ბედნიერად იცხოვროს, სავსებით განვითარდეს ყველა თავისი ტალანტი, ყველა ნიჭი.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობა ხელს უწყობს ჩვენს ძმებს იბრძოლონ სოციალიზმის მართალი საქმისათვის ყველა ქვეყანაში. (ტაში).

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გადამწყვეტი წვლილია მსოფლიო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სოციალისტური ქვეყნების ხალხთა შემოქმედებითი შრომა რევოლუციური ბრძოლების უმნიშვნელოვანესი ველი გახდა. და რაც უფრო აქტიურად, წარმატებით განხორციელდება ეს მშენებლობა, მით უფრო ძლიერ შეირყევა კაპიტალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის პოზიციები, მით უფრო დიდი იქნება ჩვენი დახმარება კლასობრივი ძმებისადმი კაპიტალის ქვეყნებში, ყველა ხალხისადმი, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებით სერიოზული წვლილი შეგვაქვს მშვიდობის დაცვის დიად ინტერნაციონალურ საქმეში. მშვიდობა ჩვენთვის პაციფისტური ზღაპარი, განყენებული იდეალი როდია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ომის საფრთხეს არ გაუფლია. ვცდილობთ რა თავიდან ავაცილოთ კაცობრიობას გამოუსწორებელი უბედურება, ჩვენი თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზე გვაქვს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავიცვათ მშვიდობა. თერმოატომურ საუკუნეში მშვიდობის დაცვა და სოციალიზმისათვის ბრძოლა ორი სხვადასხვა საქმე კი არ არის, არამედ ერთი საერთო დიადი რევოლუციური საქმეა.

და, ბოლოს, ჩვენ ინტერნაციონალური მოვალეობა გვესმის როგორც მხარდაჭერა თანამედროვეობის ყველა რევოლუციური, დემოკრატიული მოძრაობისათვის. ჩვენს კლასობრივ ძმებს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენს თანამებრძოლებს, ჩვენს მეგობრებს იმ ქვეყნებში, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ, შეუძლიათ დარწმუნებული იყონ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი კვლავაც შეასრულებენ ამ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობას. (ხანგრძლივი ტაში).

პირველი ინტერნაციონალის მეასე წლისთავს რომ აღვნიშნავთ, ჩვენ, საბჭოთა კომუნისტები, მოუწოდებთ ყველა მომძე პარტიას, მთელ რევოლუციურ ძალებს უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, გადალახონ ყველა სიძნელე, დაარღვიონ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის, კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებისათვის. (ტაში). ჩვენ მოვუწოდებთ მათ უაღრესად ფართო გაერთიანებისაკენ მთელი რევოლუციური ძალების ინტერნაციონალიზმის დროშით! ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ, რაც უფრო ფართო და შეკავშირებული იქნება თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები, მით უფრო მალე გაიმარჯვებს ჩვენი დიადი საქმე! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენთვის კვლავ საბრძოლო მოწოდებად გაისმის სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!“ (ძლიერი ტაში).

ამ დარბაზში ჩვენთან ერთად არიან მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის მარქსისტულ-ლენინური პარტიების, დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენლები, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან საბჭოთა კავშირში. ყველა მათგანს ძმურად მივესალმებით! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, შრომის ყველა ადამიანს, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს! (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! ჩვენმა გამარჯვებებმა, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამარჯვებებმა განსაკუთრებული ძალა შესძინეს მარქსისა და ლენინის მოძღვრებას. ახლა დედამიწის ყველა კუთხის მშრომელნი რეალური მაგალითებით რწმუნდებიან მის სისწორეში. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება მუშათა საქმის წარმატებათა წყარო და აუცილებელი პირობაა. სოციალისტურმა მუშათა კლასმა, რომელიც მთელ ხალხთან გაერთიანდა, მსოფლიოს უჩვენა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმზე დაყრდნობით მას შეუძლია სასწაულები მოახდინოს, შეუძლია მოკლე ისტორიულ ვადაში გადააქციოს თავისი ჩამორჩენილი ქვეყნები მძლავრ და აყვავებულ ქვეყნებად.

ამხანაგებო! მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი ახლა მარტოოდენ „მშიერთა და მონათა სამყარო“ როდია. იგი ახლა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ბატონ-პატრონია. მისი მებრძოლი, ორგანიზებული რაზმები მოქმედებენ ყველა კონტინენტზე. და ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაისმის ამ საზეიმო დღეებში უკვდავი პროლეტარული ჰიმნის სიტყვები:

„ჩაგვრის სამეფოს მთლად აღმოვფხვრით
და მოვსპობთ ძირფესვიანად,
ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს,
დაჩაგრულს გავზდით სვეიანად!“

(ძლიერი ტაში).

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა! (ძლიერი, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნა პირველი ინტერნაციონალის 100 წლისთავი.

28 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

ეს სურათი გადაღებულია იმ მომენტში, როცა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ხსნის საზეიმო კრებას.

ფოტო ა. პ-ხომოვისა და ა. ლიაპინისა.

დაე განმტკიცდეს მეგობრობა!

მოსკოვს ჩამოვიდა ინდონეზიის პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო

მოსკოვი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვი ზეიმით შეხვდა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს დოქტორ სუკარნოს.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, სასპატიო სტუმარს გულითადად მიესალმნენ დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დოქტორ სუკარნოს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, სხვა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები.

შეხვედრთა შორის იყვნენ ინდონეზიის თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა მინისტრი-კოორდინატორი, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი გენერალი ა. ხ. ნასუტიონი, ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მანაი სოფიანი, უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთული კორესპონდენტები.

ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად მიცემულ იქნა ერთი სალუტი — 21 საარტილერიო ზალპი.

საპატიო სტუმარს გულითადად მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიქოიანი. სასალუთო სიტყვა წარმოთქვა დოქტორმა სუკარნომ.

ა. ი. მიქოიანისა და დოქტორ სუკარნოს სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

დოქტორი სუკარნო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. მიქოიანი მანქანაში სხდებიან. ავტომობილების კოლონა მოტოციკლისტთა ესკორტით მიდის ქალაქში.

მთელ გზაზე მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრიდან ქრემლამდე, სადაც დოქტორ სუკარნოს რეზიდენცია იქნება, მოსკოველები მიესალმებოდნენ მეგობარი ქვეყნიდან ჩამოსულ სასპატიო სტუმარსა და საბჭოთა ხელმძღვანელებს. ტრასა, რომლითაც მანქანების კორტეჟი მიდიოდა, სადღესასწაულოდ იყო მორთული. მრავალ ტრანსპარანტზე ინდონეზიურ და რუსულ ენებზე წარწერილი იყო: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ინდონეზიელი ხალხის თანამშრომლობას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში!“, „დაე განვითარდეს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში“. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა დოქტორ სუკარნოს

29 სექტემბერს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და დოქტორ სუკარნოს შორის გაიმართა გულთბილი და მეგობრული საუბარი. (საკდესი).

დოქტორი სუკარნო ეწვია ა. ი. მიქოიანს

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო 29 სექტემბერს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ა. ი. მიქოიანსა და დოქტორ სუკარნოს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც მიმდინარეობდა გულითადობისა და გულთბილობის ატმოსფეროში. (საკდესი).

ახალი ავტომობილები — სახალხო მეურნეობას

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს სატვირთო ავტომობილების გამოფენა

28 სექტემბერს ამხანაგებმა ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ახალი სატვირთო ავტომობილების გამოფენა, რომელიც მოწყობილია საავტომობილო და ავტომოტორების სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტერიტორიაზე, მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. თ. უსტინოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დიმშიცი, კ. ნ. რუდნევი, ლ. ვ. სმირნოვი. განმარტებას იძლეოდა ავტოსტრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათაშენებელი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ი. სტროკინი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ათობით სხვადასხვა ავტომობილი. აქ არის ბელორუსიის საავტომობილო ქარხნის მძლავრი ფოთლოვანი ტვირთმწეობა 65, 40 და 27 ტონაა, მინსკის, კრემენჩუგისა და ურალსკის ავტოქარხნების თვითმცლელები და ავტომატარებლები. გამოფენაზე თავიანთ ახალ პროდუქციას აჩვენებენ გორკისა და მოსკოვის ავტოქარხნები. გამოფენაზე წარმოდგენილია ულიანოვსკისა და ზაპოროჟიეს ავტოქარხნების. მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის ახალი ავტომობილები, აგრეთვე ავტომობილის ახალი ძრავები, ზოგიერთი რეზინის ტექნიკური ნაკეთობა და მოხაპირკეთებელი მასალა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვა წარმოთქვა ავტომობილმშენებელთა წინაშე და გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები ცალკეული მანქანის კონსტრუქციის გამო. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მომავალში ცენტრალიზებულ იქნეს საკონსტრუქტორო საქმე უფრო მკაფიო ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, აგრეთვე მიზანშეწონილია ერთ ხელმძღვანელობას დაექვემდებაროს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზის მუშაკები.

საავტომობილო მრეწველობისა და ავტოტრანსპორტის მუშაკებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა საუბრის დროს შეეხნენ ავტომობილთა ტიპაჟის საკითხებს, აგრეთვე იმას, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გადიდდეს მანქანების ხანგამძლეობა და საიმედოობა, ხეროზულად გაუმჯობესდეს დასაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და მასალების ხარისხი, რომლებსაც საავტომობილო მშენებლობის მრეწველობაში იყენებენ, უნდა გაფართოვდეს კონტეინერების, სხვადასხვა დანიშნულების ნახევრად მისაბმელებისა და მისაბმელების წარმოება.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის მიწვევით ოქტომბრის დამდეგს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ხირსელ მევენახეთა გამარჯვება

არის გეგმაც, ვალდებულებაც!

გ. ჯანგულაშვილი,
სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ხირსის მევენახეობის საბოთა მეურნეობის დირექტორი.

ხირსელი მევენახეების სახელით სამშობლოს, პარტიას, ხალხს ამ წინასწარმეტყველმა დღეებში მინდა ვუთხაროთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეთ ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმაც და ვალდებულებაც. სახელმწიფოს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.750 ტონისა მივიღეთ 1.900 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. ვალდებულების გადამეტებით სამშობლოს მივეცით 100 ტონა ყურძენი. ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 20 მანეთისა და 68 კაპიკისა დაგვიჯდა 14 მანეთი.

როგორ მივაღწიეთ ამ წარმატებას, ან ვინ ისახელა თავი ამ გამარჯვებაში?

ეს გამარჯვება პირველ რიგში მოპოვებულია მეურნეობის გამარჯვ ადამიანების თავდადებული შრომით.

ხირსელებს 500 ჰექტარი ვენახი გვაქვს. აქედან 347 ჰექტარი მსხმოიარეა. ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გასული წლის შემოდგომიდანვე დაიწყეთ. ვენახში ყველა სამუშაო აგროვადებში და აგროწესების ზუსტად დაცვით ვაწარმოეთ.

მინერალური სასუქები სასარეველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრების მიერ შედგენილი კარტოგრამის მიხედვით შეგვქონდა. ამასთან მევენახეები ზამთარში ქიმიურ ცოდნას ეწაფებოდნენ, რომელიც შემდეგ კარგად გამოიყენეს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ვისაც ვენახში უმუშავია, კარგად იცის, რომ ვაზი სათუთი მცენარეა და მას ყოველდღიური ზრუნვა ესაჭიროება. ამასთან ვენახში სამუშაოები მეტად შრომატევადია, მაგრამ აქ ჩვენ ტექნიკა დაგვეხმარა. ვენახებში, გარდა მწვანე ოპერაციებისა, თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია. შაბიამნით წამლობას უახლესი მანქანებით ვაწარმოებთ, ხოლო გოგირდის შეფრქვევას — თვითმფრინავით.

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეორე, მესამე და მეოთხე ბრიგადებმა.

მესამე ბრიგადამ, რომელსაც ეპატერინე ლუაშვილი ხელმძღვანელობს, 52 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მიიღო. სიმონ ზედელაშვილის ბრიგადა კი 42 ჰექტარ ვენახს უვლიდა. ჰექტარზე მიღებულია 76 ცენტნერი ყურძენი. მეურნეობაში რთველი პირველებმა მეოთხე ბრიგადის (ბრიგადირი შოთა ხიზანიშვილი) მევენახეებმა დაიწყეს და პირველებმავე დაამთავრეს. 26 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე წარმოებულია 73 ცენტნერი ყურძენი. ამ ბრიგადებმა ყურძნის წარმოების არა მარტო გეგმა, არამედ ვალდებულებაც გადაჭარბებით შეასრულეს.

უხვი მოსავლის მოყვანა, რა თქმა უნდა, სახელისა და ღირსების საქმეა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს რთვლის მოკრეფას. ამ საქმეში მეურნეობის ყველა მუშამ გამოიჩინა თავი. მათ შორის აღსანიშნავია მკრეფავები ბორის ჯუჯულაშვილი, პარიამ ანდრუშკევიჩი, დოდო ფიროზეული და ბევრი სხვა. ისინი დღეში 300 კილოგრამის ნაცვლად 700-800 კილოგრამს ყურძენს კრეფდნენ. ქება დაიმსახურეს მტკვრთავებმა დავით თევზაძემ და რაჟდენ ბიძინაშვილმა, შოფრებმა ვალიკო პაპუაშვილმა, ნოდარ ჯალიაშვილმა, ლადო გზირიშვილმა, დავით გეგიაშვილმა და სხვებმა.

რთველი წარმატებით დავამთავრეთ, მაგრამ ჩვენი მეურნეობის მუშები და სპეციალისტები უკვე შეუდგნენ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ზრუნვას.

სურათზე: მეურნეობის დირექტორი გ. ჯანგულაშვილი (შუაში), ბრიგადირი, აგრონომი შ. ხიზანიშვილი (მარჯვნივ) და მკრეფავი დ. შიოშვილი.

ფოტო გ. სანაიასი.

ხირსელმა მევენახეებმა სახელმწიფოს 1750 ტონის ნაცვლად მიაყვიდეს 1900 ტონა ყურძენი

ტემპი, ტემპი, მეგაიეებო!

ი ს ი ნ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ა ს ა ს რ უ ლ ებ ე ნ

● **მახარაძის** საწარმოო სამმართველოს ლაშის კოლმეურნეობაში თავი ისახელა **ეთერ მგალობლიშვილმა.** მან ვალდებულებით ნაკისრი 10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა და კვლავ განაგრძობს კრეფას. ამ მეჩაიის მხარდამხარ შრომობენ თ. შათირიშვილი, რ. გოგუაძე, კ. ქავუარაძე, დ. ცქვიტინიძე, გ. სალუქვაძე, თ. კილაძე.

ხ. კიკვაძე,
კოლმეურნეობის პარტიეროს მდივანი.

● **კარბა** ხანია ურეხელმა მეჩაიეებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს. ახლა 18 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ჩაის ნედლეულია მოკრეფილი. სახელი გაითქვეს მკრეფავებმა **ო. კოკვაძემ, შ. ვარშანიძემ, თ. ჭყონიამ, ვ. ფარტენაძემ** და სხვებმა. ჩვენი ბრიგადა 20 ტონა ზეგეგმითი ჩაისათვის იბრძვის.

ა. ვარშანიძე,
ურეხის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

● **ჩვენი** კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ამ წარმატებაში დიდია მეჩაიეთა წვლილი. პირადად მე მოკრეფილი მაქვს 6 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. კიდევ მოვკრეფ 500 კილოგრამს.

ა. სტეფანიდი,
ქობულეთი, სოფელი აჭყვა.

● **სოფელ** ნატანების კოლმეურნეობაში ახალგაზრდა მეჩაიეების გადაწყვეტილებაა მოკრიფონ 1 მილიონი კილოგრამი ჩაის ნედლეული. შეჯიბრებაში დაწინაურდა ე. სურმავა, რომელსაც მოკრეფილი აქვს 3.500 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი. ახალგაზრდები იბრძვიან ვალდებულების შესრულებისათვის. წინ მიდიან თ. კუპრაძე, ლ. ვაშალომიძე, მ. ჩაფიჩაძე.

რ. თავაძე,
ნატანების კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,
ი. ჩაფიჩაძე,
მეგოლური.

● **სეზონის** დამთავრებამდე დღეებიღა დარჩა. ვცდილობ ნემი წვლილი შევიტანო კოლმეურნეობის წარმატებებში. მოკრეფილი მაქვს 3.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. მიზნად დავისახე ნაკეთში მოკრეფავი არ დავტოვო არც ერთი კილოგრამი შემოსული ჩაის ფოთოლი.

ო. თედორაძე,
ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე.

● **ინგირის** კოლმეურნეობაში (ზუგდიდის რაიონი) სასახელო შედეგები აქვთ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ მექანიზატორებს. ი. ქარჩავამ ამ მანქანით მოკრიფა 23 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 18 ტონისა. ახალი ტექნიკის დანერგვაში დაგვეხმარნენ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა — ფაბრიკის კოლექტივი და „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის განყოფილება. მომავალ წელს კოლმეურნეობაში 10 ჩაის საკრეფი მანქანა იმუშავებს.

თ. ლოლუა,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
დ. კუხიანიძე, კ. ბარცხია,
აგრონომები.

სსრ კავშირის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა

ამხ. ბ. ნ. პონომარიოვის მოხსენება პირველი ინტერნაციონალის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოსკოვში

ამხანაგებო! ჩვენი პარტია და ხალხი, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ზეიმით აღნიშნავენ მეასე წლისთავს პირველი ინტერნაციონალის დაარსების დღიდან, რომლის ბელადები იყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. პირველი ინტერნაციონალის მეასე წლისთავი ყველა მშრომელთა დღესასწაულია, ყველა იმათი დღესასწაულია, ვინც იბრძვის საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, ვინც სოციალიზმისა და კომუნიზმის გზას ადგას.

პირველმა ინტერნაციონალმა საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმისათვის საერთაშორისო ბრძოლას. ბურჟუაზია უმალვე მიხვდა, თუ რა უდიდესი დამანგრეველი ძალის ნაღმი ჩაუდეს მარქსმა და ენგელსმა მისი კლასობრივი ბატონობის საყრდენებს. ამიტომ ბურჟუაზიამ ინტერნაციონალის პირველი ნაბიჯებიდანვე თავს დაატეხა მას მთელი თავისი კაფიტრება და ღვარძლი. მაგრამ იდეები, რომლებიც ინტერნაციონალმა გამოაცხადა, საქმე, რომელიც მან დაიწყო, ყოველ წელს, ყოველ თოწლეულს სულ უფრო ძლიერდებოდა და ზედიზედ იმარჯვებდა. ინტერნაციონალის იდეები და ტრადიციები უკვდავია, როგორც უკვდავია მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი მოძღვრება!

ინტერნაციონალმა მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიულ მისიად გამოაცხადა კაპიტალიზმის დამხობა, ახალი, ყველაზე სამართლიანი და სრულყოფილი საზოგადოების — კომუნიზმის აშენება.

მუშათა კლასის სახელით ინტერნაციონალმა ომი გამოუცხადა ეროვნულ შუღლს და მიზნად დაისახა შეექმნა ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური კავშირი.

ინტერნაციონალმა განაცხადა, რომ პროლეტარიატს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ომის წინააღმდეგ, დედამიწაზე დაამყაროს თავისუფლების, შრომისა და მშვიდობის სამყარო.

მას შემდეგ ასმა წელმა განვლო, თავისი მნიშვნელობით ეს ასწლეული სწორუპოვარია კაცობრიობის მთელ წინა ისტორიაში. იგი აღინიშნა კომუნიზმის იდეების პეშმარიტად ტრიუმფალური მსვლელობით, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ძალისა და გაქანების უმაგალითო ზრდით.

მსოფლიოს სურათი ას წელიწადში ძირეულად შეიცვალა.

— დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კომუნიზმის გამარჯვების ერა. ოქტომბრის გზას ადგანან ბევრი ქვეყნის ხალხები, რომლებიც სოციალიზმის მსოფლიო სისტემას შეადგენენ.

— საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი კომუნისტური ავანგარდი გადაიქცნენ თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან ძალად.

— იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა — ხალხთა ეს მსოფლიო საპყრობილე — დანგრეულია. განთავისუფლებული ქვეყნები გამოდიან ისტორიული შემოქმედების ფართო გზაზე, ბევრი მათგანი თავის მიზნად სოციალიზმის აშენებას აცხადებს.

— პროლეტარიატის იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი მთელი მოწინავე კაცობრიობის ფიქრებს დაეუფლა.

—ისტორიაში პირველად მიღწეულია სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების უპირატესობა აგრესიის ძალებთან შედარებით. კაცობრიობას რეალური შესაძლებლობა შეექმნა თავიდან აიცილოს მსოფლიო ომი.

ისტორია ვითარდება ისე, როგორც განჭვრეტდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი! მუშათა კლასს კანონიერი სიამაყის გრძნობით შეუძლია თქვას: „ყველა ეს გამარჯვება, რომლებიც კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერების გარიჟრაჟს მაუწყებენ იყო, ჩემი მარჯვენის, ჩემი გონების საქმეა, ჩემი ძლიერების დადასტურებაა!“

ამ საზეიმო დღეს საბჭოთა კომუნისტები მადლიერებით იხსენებენ თავიანთ წინამორბედებს, პირველი ინტერნაციონალის რუსულ სექციას, რომლის წარმომადგენელი მის საბჭოში კარლ მარქსი იყო. იგი ხელს აწერდა ინტერნაციონალის დოკუმენტებს როგორც „მდივანი, კორესპონდენტი გერმანიისა და რუსეთისათვის“. რევოლუციურმა თესლმა, რომელიც მარქსმა დათესა რუსეთის ნიადაგში, პეშმარიტად შესანიშნავი აღმონაცენი მოგვცა. დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი ისტორიაში პირველი აშენებს კომუნიზმს!

1. მუშათა კლასის დიადი საქმე იმარჯვებს

ამხანაგებო! კომუნისტები თვალსაჩინო თარიღებს თავიანთი მოძრაობის ისტორიაში მარტო იმისათვის კი არ აღნიშნავენ, რომ შეჯამონ განვლილი გზა, შეაფასონ მოპოვებული გამარჯვებათა მნიშვნელობა. ისინი ამ თარიღებს აღნიშნავენ უმთავრესად იმისათვის, რომ შეძენილი გამოცდილების შუქზე თავიანთი ყურადღება მიაქციონ ახალ პრობლემებს, რომლებიც რევოლუციურმა მოძრაობამ დასახა.

აღნიშნავდა პირველი ინტერნაციონალის მეასე წლისთავს — ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ კვლავ და კვლავ ხაზი გაუსვა მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიულ ადგილს, შრომის დიადი ამბავის სხვადასხვა ეროვნული რაზმების სოლიდარობისა და შეკავშირების მნიშვნელობას.

პირველი ინტერნაციონალის შორეულ წლებში პროლეტარიატი ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდა. დღეს იგი საზოგადოების მეტად მრავალრიცხოვანი და ყველაზე გავლენიანი კლასია.

სოციალიზმის ქვეყნებში 150 მილიონზე მეტი მუშაა. თვით ისტორიამ მიანიჭა მუშათა კლასს, მის ძირითად მოკავშირეს — გლეხობას, სოციალისტური ქვეყნების ყველა მშრომელს, რომლებიც საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლების გადამწყვეტ უბანზე არიან, კაცობრიობის რევოლუციური ავანგარდის საპატიო როლი.

არასოციალისტურ სამყაროში პროლეტარიატის არმია შეადგენს 350 მილიონ კაცს. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების თვითმოქმედი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი მუშები არიან. აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, სადაც ასი წლის წინათ პროლეტარიატი არსებითად არც კი ყოფილა, ახლა დაქირავებული შრომის 150 მილიონზე მეტი მუშაკია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშათა კლასს სულ უფრო მეტი ადგილი უჭირავს თანამედროვე საზოგადოებაში.

მაგრამ პროლეტარიატის რაოდენობა თავისთავად ჯერ კიდევ როდი განსაზღვრავს მის როლს საზოგადოებაში, რაოდენობა, ხაზგასმით აღნიშნავდა მარქსი, მხოლოდ მაშინ წყვეტს საქმეს, როცა მასა ორგანიზებულია. პირველმა ინტერნაციონალმა მოამზადა პირობები პროლეტარიატას მასობრივი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისათვის. დღეს სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებში გაერთიანებულია მთელი მსოფლიოს ასეული მილიონობით მშრომელი. ეს არის ეროვნული დემოკრატიული პარტიები, პროფკავშირული, ქალთა, ახალგაზრდათა, კოოპერაციული, სპორტული და სხვა ორგანიზაციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებენ კომუნისტური პარტიები, რომელთა რიგებში გაერთიანებულია 43 მილიონზე მეტი კაცი. კომუნისტები ჩვენი ეპოქის, მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის მეფროშენი არიან!

ასი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ორგანიზაცია ნამდვილი რევოლუციური ძალა ხდება, როცა იგი ერთდება მეცნიერულ სოციალიზმს. პირველი ინტერნაციონალის დროიდან განუზომლად გაიზარდა მუშათა კლასის იდეურ-თეორიული დონე. მისი მრავალფეროვანი რევოლუციური ავანგარდი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლების ასპარეზზე გამოდის მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით.

„საკუთარი ხელით“ მუშათა კლასის განთავისუფლების დიადი იდეა, რომელიც ნაპერწკალივით ანთო საუკუნის წინათ, აგიზგიზდა მძლავრ ცეცხლად, რომელიც წვავს კაპიტალიზმს. სოციალიზმის მომავალი გამარჯვების გზებს რომ სახავდა, მარქსი აღნიშნავდა, რომ მისი პირობაა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ეკონომიაზე მუშათა კლასის პოლიტიკური ეკონომიის გამარჯვება. სწორედ ეს პირობა ხორციელდება ახლა სოციალიზმის ქვეყნებში. მათი ყოველმხრივი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პროგრესი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარების გადამწყვეტი რგოლი გახდა.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატმა დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ და სოციალურ მონაპოვრებს მიაღწია. იგი განუხრელად ზრდის თავის ძალებს, შეუპოვარ კლასობრივ ბრძოლებს აწარმოებს ყველა მშრომელთა მთავარი ტრფის — მონოპოლიების წინააღმდეგ იმპერიალიზმის თვით ციტადელებში. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდა მუშათა კლასი თავის მოკავშირეებთან ერთად გმირულად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიალიზმის ყველა ნაშთის აღმოფხვრისათვის, სოციალიზმის პროგრესისათვის.

ასი წლის წინათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის უპირატესი ფორმა იყო ეკონომიური ბრძოლა. დღეს მუშათა თითქმის ყოველ გამოსვლას არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათიც აქვს. ეს გამოხატავს ჩვენი ეპოქის რევოლუციურ არსს და ამასთანავე პროლეტარიატის გაზრდილ ძალასა და როლს. როგორც ხატოვნად თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, დადგა დრო, „როცა მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი იმდენად გაიზარდა, განმტკიცდა და ისეთ გამარჯვებებს მიაღწია, რომ შეუძლია განსაზღვროს ისტორიული განვითარების მიმდინარეობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ“. **(ხანგრძლივი ტაში).** ახლა, როცა პროლეტარიატი შეიარაღებულია ორგანიზაციის ნაკადი ფორმებით და ბრძოლაში შემოწმებული მეცნიერული სოციალიზმის იდეებით, როცა მას აქვს ისეთი ძლიერი დასაყრდენი, როგორიც სოციალიზმის ქვეყნებია, მას წინაზე გადალახავ თავისი იდეალების განხორციელების უმაგალითოდ ფართო პერსპექტივები. მას კეთილიც ბუმბერაზულ- გაუხდა, ნაბიჯიც გაუფართოდა, და შესაძლებლობაც განუზომლად მეტი აქვს!

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მუშათა კლასის დიადი მხსნელი მისია ადამიანთა საზოგადოების ყველა სფეროში გამოვლინდა. ისტორიულმა გამოცდილებამ, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ, დაამტკიცა, რომ გამარჯვებული მუშათა კლასი უხრწნელყოფს:

ეკონომიკის დარგში — საწარმოო ძალების უკრიზისო განვითარებას, ხალხის მაყების მატერიალური კეთილდღეობის გაუჯრობებლების სამსახურში ჩაყენებული თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალთა დაუფლებას;

პოლიტიკის დარგში — ნამდვილ დემოკრატიას ხალხისათვის, პიროვნების ნამდვილ თავისუფლებას;

ეროვნული ურთიერთობის დარგში — ყველა ერის მეგობრობასა და ძმურ კავშირს;

სულიერი ცხოვრების დარგში — ნამდვილ სახალხო კულტურას, შთაგონებულ საზოგადოებისა და ადამიანისადმი სამსახურის მაღალი იდეებით;

საერთაშორისო ურთიერთობის დარგში — ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას, კაცობრიობის გადარჩენას თერმოატომური ომის კატასტროფისაგან, სხვა ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერას.

ყოველივე ამით მუშათა კლასმა ცხადყო, რომ იგი ძირეულად განსხვავდება ყველა სხვა კლასისაგან, რომლებიც ოდესმე სათავეში ედგნენ ხელისუფლებას, მუშათა კლასისათვის, თვით მისი ბუნების გამო, უცხოა თავისი ხელისუფლების უკვდავყოფა, სხვა კლასების, მოსახლეობის ჯგუფებისა და ფენების ჩაგვრა. და ამ ფაქტს წარუვალი მნიშვნელობა აქვს, თუ მონოპოლისტური ბურჟუაზია თავს აძლევს ხალხის უმრავლესობას, თვით ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებსაც კი, მუშათა კლასი იზიდავს გლეხობის უფართოეს მასებს, ხელოსნებს, ინტელიგენციას, ყველა დემოკრატს. საქმე ის არის, რომ მუშათა კლასის და ყველა იმათი ძირეული ინტერესები, ვინც თავისი შრომით ცხოვრობს, ერთმანეთს ემთხვევა როგორც ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარეობაშიც.

საერთაშორისო პროლეტარიატის წარმატებანი დიდი და უდავოა. მაგრამ როგორც კლასი, რომელიც მოწოდებულია ძირეულად გარდაქმნას მთელი მსოფლიო, იგი ნათლად ხედავს, რომ მის წინაშე ჯერ კიდევ გრანდიოზული და პასუხსაგები ამოცანები დგას. რა თქმა უნდა, უმეტესი სიძნელეები უნდა გადალახონ მუშათა კლასის იმ რაზმებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ძალაუფლება. მათ წინაშე ახლა სოციალიზმზე გადასვლის გზის არჩევანის ახალი, განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობანი დაისახა. ეს გზა შეიძლება მშვიდობიანიც იყოს და არამშვიდობიანიც. ყველა შემთხვევაში ეს არის რევოლუციური გზა, რომელსაც განსაზღვრავენ თვით ხალხი და მისი რევოლუციური პარტია.

აქვთ თუ არა მუშათა კლასსა და ყველა მშრომელთ რეალური შესაძლებლობა გადაკრან მათ წინაშე მდგომი გიგანტური ამოცანები? დიახ, ასეთი შესაძლებლობანი აქვთ, და ეს შესაძლებლობანი განუწყვეტლივ იზრდება, გამარჯვებები, რომლებსაც უკვე მიაღწია მუშათა კლასმა, მისი რიცხვი, იდგილი წარმოებაში და როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მოწმობენ, რომ მუშათა კლასს აქვს უმაგალითო სოციალური ძალა. ეს ძალა საესებით საკმარისია, რომ პროლეტარიატმა თავის მოკავშირეებთან ერთად მოსპოს ამ ქვეყნად ექსპლოატაცია და ჩაგვრა, აღკვეთოს ომები, გამოიყვანოს შრომის ყველა ადამიანი მონური ცხოვრების წყვიადიდან და მუშა ადამიანი ყველგან გადაქციოს მსოფლიოს ნამდვილ ბატონ-პატრონად, თავისუფალ შემოქმედად და მბრძანებლად!

საქმე, მაშასადამე, ის არის, რომ მუშათა კლასმა მთლიანად გამოიყენოს ამჟამად არსებული ობიექტური შესაძლებლობანი, საკუთარი რევოლუციური ძალები და ბოლომდე შეასრულოს მსოფლიო სოციალიზმის მედროშის მისია. უზრუნველყოფ მუშათა კლასის საქმის გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში — ეს მიიჩნიათ თავიანთ მოწოდებად მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს!

2. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა

ამხანაგებო! პირველი ინტერნაციონალი ძვირფასია ჩვენთვის იმით, რომ როცა თავის დამფუძნებელ მანიფესტში გამოაცხადა მარქსისა და ენგელსის დიადი ლოზუნგი: „პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, მან დაიწყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის როგორც რევოლუციური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის განხორციელება. ჩვენს დროში ინტერნაციონალიზმს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. რა მიზეზების გამო?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს-ამჟამად მატერიალურად განასახიერებს სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემა. სოციალისტური თანამეგობრობა მოწოდებულია გვიჩვენოს სხვადასხვა ხალხთა და ერთა შორის ახალი ურთიერთობის ნიმუში, საფუძველი ჩაუყაროს ადამიანთა მომავალ კომუნისტურ ძმობას. ეს საქმე ახალი, უაღრესად რთულია და პიველად ხორციელდება კაცობრიობის მრავალი ათასი წლის ისტორიის მანძილზე. ითვალისწინებ, რომ ეს ნაკადად გაერთიანებისათვის, რომელიც ამჟამად მთელი პლანეტის მასშტაბით გაიშალა.

ასი წლის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მუდამ იყო მუშათა კლასის სამიდეო და მძლავრი იარაღი. ცნობილია, რომ ბურჟუაზია განადგურებდა თავის თავს როგორც გაბატონებული კლასი ნაციონალიზმის საშუალებით. იგი ადგენებდა და აღვივებს ეროვნულ შუღლს, უპირისპირებს ერთ ხალხს მეორეს, ერთ ქვეყანას მეორეს, საქმე მიაყავს მსოფლიო ომებამდე. ბურჟუაზია იყენებს საერთეროვნულ თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, სპეკულაციას ეწევა ერის ინტერესებით. პროლეტარიატი კი ბურჟუაზიისაგან, ყველა ექსპლოატატორული კლასისაგან განსხვავებით უარყოფს ხალხებისა და სახელმწიფოების დაპირისპირებას ერთიერთისადმი. მის კლასობრივ ინტერესებს შეესაბამება ყველა მშრომელთა შეკავშირება, ხალხთა შორის მეგობრობა. პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე რომ გამოვიდა როგორც კაპიტალიზმის მესიფლავე, პროლეტარიატმა მსოფლიოს აუწყა ინტერნაციონალიზმის დიადი მნიშვნელობაც!

ერთი ისტორიული ეტაპიდან მეორემდე პროლეტარული ინტერნაციონალიზმი სულ უფრო ქმედითის როლს ასრულებს უწინარეს ყოვლისა თვით მუშათა კლასის ბრძოლაში. პირველ ხანებში, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი უმთავრესად იყო სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასობრივი სოლიდარობის იარაღი, კაპიტალიზმზე ერთობლივი იერიშისათვის მათი მოშზადების სკოლა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ, შემდეგ კი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოქმნამ არაჩვეულებრივად გაამდიდრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შინაარსი და გამოვლინების ფორმები. დღეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გულისხმობს:

— ყველა რევოლუციური რაზმის სოლიდარობაა და ყოველმხრივ ურთიერთმხარდაჭერის საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში;

— მშვიდობის დაცვას, აქტიურ ბრძოლას ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო ცხოვრებაში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებისათვის;

— თვითეული სოციალისტური ქვეყნის მიერ მაქსიმუმი მეცადინეობის განხორციელებას თავისი უპირველესი ინტერნაციონალური მოვალეობის — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესრულებისათვის;

— ისეთი პოლიტიკის განხორციელებას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის, როგორც თანამედროვე რევოლუციური განვითარების მთავარი ფაქტორის, განმტკიცებას;

— სოციალისტური ქვეყნების ხალხებისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელების მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარის დაჭერას;

— ყველა ქვეყნისა და კონტინენტის პროგრესული ძალების დემოკრატიულ მოძრაობებში შეკავშირებისათვის ყოველი ღონისძიებით ხელშეწყობას რასებისა და ეროვნების განურჩევლად;

— საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის დაცვასა და განმტკიცებას, გადამჭრელ ბრძოლას ფრაქციონერებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, რეაქციული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმ და მუშათა მოძრაობაში მისი შეღწევის წინააღმდეგ;

— მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იდეური საფუძვლის, დაცვასა და შემოქმედებითს განვითარებას.

მარქსისა და ენგელსის მიერ წამოყენებულმა უკვდავმა ლოზუნგმა „პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გენიალურად გამოხატა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსი. მსოფლიო რევოლუციის სიერთი ნაკადად კოლონიათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეერთებამ გააფართოოა ამ ლოზუნგის შინაარსი. და ლენინმა შეავსო ეს ლოზუნგი ახალი დევიზით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრული ხალხებო, შეერთდით!“. ჩვენმა დრომ შექმნა შესაძლებლობა და დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შეიქმნას პოლიტიკური კავშირების უმაგალითოდ ფართო ფრონტი, რომელიც მოიცავს თანამედროვეობის სამივე მთავარ რევოლუციურ ძალას, ასეთი ფრონტი გულისხმობს მარქსისტულ-ლენინური პარტიების, სხვა მუშათა პარტიების, ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყნების რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიების მოქმედების ერთიანობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ყველა ორგანიზაციის მოქმედების ერთიანობას. ამის შესაბამისად ჩვენს დროში ინტერნაციონალისტურ დევიზს უფრო ფართო შინაარსი მიეცა და მოუწოდებს სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანებისაკენ.

კაცობრიობის წინაშე, სხვადასხვა ქვეყნის ხალხების წინაშე მდგომი საარსებო ამოცანები კომუნისტებისაგან მოითხოვს განუხრელად გამოიყენონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები მთელ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მტკიცედ წინააღეუდგეთ ხალხთა გათიშვის ყოველ ცდას.

ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის ქვეყნებში ამჟამად ადგილი აქვს უკიდურესი რეაქციის ძალების ახალ აქტივიზაციას. ამ აქტივიზაციის ერთ-ერთი ავბედითი ნიშანია ფაშისტური ტენდენციების ზრდა. ფაშიზმი, როგორც ცნობილია, მონოპოლისტური კაპიტალის სამსახურში მყოფი ყველაზე პირწავარდნილი, რეაქციული, აშკარა ნაციონალიზმის იდეოლოგია და პრაქტიკაა.

თავი წამოყო რეაქციამ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელი „ცოფიანები“ აღვიძენენ თავიანთ ბოროტ ოცნებას ერთ-ერთ ფორმებით, თავიანთი ბავი დროშის ქვეშ ავროვებენ მოსახლეობის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ფენებს, რომლებსაც მონოპოლიები აღატაკებენ, ახალგაზრდობას, რომელიც ცხოვრების გზაზე რომ გამოდის, სამუშაოს ვერ შოულობს, ლუმპენებს. რომლებსაც ქრონიკული უმუშევრობა წარმოშობს. ამერიკის რეაქციონერები მოსახლეობის სწორედ ეს კატეგორიები ჩაითრიეს მოძრაობაში, რომელიც ფაშიზმისაკენ მიდის. ცოფიანი რასიზმი, ავრესიული შოვინიზმი და ისტერიული ანტიკომუნიზმი — ეი ამერიკული „ცოფიანების“ ფიდელოგი და პოლიტიკა. ამერიკის იმპერიალიზმი მშვიდობისა და სოციალური პროგრესის მთავარი მტერია.

იმპერიალიზმის მთავარ ქვეყანაში რეაქციის გაძლიერება აშკარად ბიძგს აძლევს ფაშისტურ მოძრაობებს მათს ძველ, ტრადიციულ კერებში, უწინარეს ყოვლისა — დასავლეთ გერმანიაში. ახლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშკარად მოქმედებს პროფაშისტური ჯერის 120-ზე მეტი ორგანიზაცია, რომლებიც ცდილობენ აღორძინონ ჰიტლერიზმის იდეები. კვლავ ამოქმედდა იდეები „გერმანული ხალხის გაღვიძებისა“. „გერმანული აღზრდის“ ნიშნით ხოტბაა ასხამენ „გერმანიის მისიას“, როგორც დასავლეთის ფარს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებთ კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მარქსისტულ-ლენინური პარტიების, თანმიმდევრული და თავდადებული ბრძოლა ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირებისა და მეგობრობისათვის, აგრესორებისადმი საკადრისი პასუხის გაცემის ორგანიზაციისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მუდმივი პროგოკაციები კუბის წინაღმდეგ და ცდები ბლოკადით ჩაახშონ იგი, ამერიკის ფლოტისა და ავიაციის თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრესია კონგოში, იმპერიალისტთა შეთქმულება კვიროსის რესპუბლიკის თავისუფლებისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ — ყოველივე ეს ეგრეთწოდებული „ძალების მოსინჯვა“ კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს სიფხიზლისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რეაქციული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ აგრესორები და ომის გამჩაღებლები.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მარქსი წერდა: „თუ მუშები დაივიწყებენ თავიანთ მოვალეობას, თუ ისინი პასიური დარჩებიან, დღევანდელი საშინელი ომი ახალი, კიდევ უფრო საშინელი საერთაშორისო ომების წინამორბედი გახდება და თვითეულ ქვეყანაში გამოიწვევს დაშნის რაინდების, მიწისა და კაპიტალის მფლობელების ახალ გამარჯვებებს მუშებზე“. კომუნისტები არ ივიწყებენ და არცა აქვთ უფლება დაივიწყონ ისტორიის გაკვეთილები. ორმოცდაათი წლის წინათ იმპერიალისტებმა მასების შეგნება მოწამლეს ეროვნული შეულის შხამით და გაიჩაღეს პირველი მსოფლიო ომი. ოცდახუთი წლის წინათ გერმანიის ფაშიზმმა, რომელმაც საშინლად გაზარდა ნაციონალიზმი და შოვინიზმი, გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი. მიმართული ერთ-ერთ ომის თავდან აცილების რეალური შესაძლებლობა შესახებ. მას შემდეგ განვლილმა წლებმა საესებით დაადასტურა ამ დასკვნის სისწორე. სოციალისტურმა თანამეგობრობამ, საერთაშორისო მუშათა კლასმა, მთელმა მშვიდობისმოყვარე ძალებმა ამ ხნის მანძილზე ჩაფუშეს იმპერიალისტთა არაერთი ცდა კაცობრიობისთვის თავს მოეხვიათ ახალი მსოფლიო კატასტროფა. და ეს საერთაშორისო მუშათა კლასს, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მიღწევაა, საბჭოთა კავშირის, ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკის, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დაუცხრომელი საქმიანობის პირდაპირი შედეგია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! მარქსისტ-ლენინელებისათვის ჭეშმარიტი ეროვნული არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურს. მეცნიერული სოციალიზმის დიადი ძალა ის არის, რომ მან ახსნა თვითეული ქვეყნის მშრომელების, ხალხის მასების ეროვნული ინტერესების, მათი პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი სიყვარულის სწორი შეხმება ინტერნაციონალიზმთან, საერთო ინტერესების საფუძველზე სხვადასხვა ერის, სხვადასხვა ქვეყნის შრომის ადამიანთა შეკავშირებასთან.

მარქსიზმ-ლენინიზმი დიდად განსხვავება რეაქციულ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს, რომლებიც ერთ ერს უპირისპირებენ მეორეს, იმ ახალგაზრდა ერების ნაციონალიზმისაგან, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისათვის, თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გვიჩვენა, რომ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირება საერთო ეროვნული დროშით დიდ პროგრესულ როლს ასრულებს. ომისშემდგომ წლებში რევოლუციური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულმა გამარჯვებამ, რომლებსაც შედეგად მოჰყვა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ნგრევა, განთავისუფლებულ ხალხთა ეროვნული თვითშეგნების უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. ჯერ კიდევ გუშინ მთ მხეცურად ჩაგრავდნენ კოლონიზატორები. დღეს კი მათ ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, შექმნეს თავიანთი სუვერენული სახელმწიფოები, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, ღირსეული წვლილი შეაქვთ ყველა სახეობის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლებისა საქმეში. ყოველივე ეს მათმა იწვევს ეროვნული ღირსების, თვითმეგნებისა და სიამაყის კანონიერ გრძნობებს. და მათ კიდევაც აქვთ სამაყო.

მარქსისტ-ლენინელები სავსებით და გულწრფელად უჭერენ მხარს ეროვნულ მოძრაობას, რადგან იგი გამოხატავს განვითარების გზაზე მყოფი ახალგაზრდა ქვეყნების საერთო ეროვნულ ინტერესებს, აერთიანებს ხალხს ან ხალხთა ჯგუფების სხვადასხვა სოციალურ ძალებს მათი მთავარი ამოცანის — ყველა ფორმის კოლონიზმისაგან განთავისუფლების გადაწყვეტაში. ამასთან ერთად მარქსისტ-ლენინელები აფრთხილებენ ცალკეულ ქვეყნებს, რომ არ ეცადონ ეროვნული მოძრაობის აღმავლობა გამოიყენონ თავიანთი ერის სხვა ერებისადმი დაპირისპირებისათვის, ხალხთა შორის მტრული დამოკიდებულების დანერგვისათვის. მათ მიიჩნიათ, რომ ჩვენა ეპოქაში არის ობიექტური პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა ერების კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც მძაფრად ვითარდება ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, წარმართონ მათი ურთიერთმხარდაჭერის, ხალხთა პატივისცემისა და მეგობრობის გზით. ამასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში თავისუფალი ერების სოციალისტური გაერთიანების შექმნის გამოცდილებას, სოციალისტური ქვეყნების თანმიმდევრულ ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალიზმი ვლინდება დიდ კონკრეტულ საქმეებში — კომუნიზმის მშენებლობაში, იმპერიალისტთა ხელყოფისაგან მსოფლიო სოციალიზმის დაცვაში, აგრესიული ძალების ალაგმვაში, რომლებიც ატომური ომით იმუქრებიან, განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნებისადმი, თავისუფლებისა და სოციალიზმისა. ეს ასეთი ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა, და **მარტოდმარტო მისი, ყველა** ქვეყანაში გამოუკლებლივ“. ლენინმა აღზარდა ჩვენი პარტია როგორც უაღრესად ინტერნაციონალისტური პარტია. საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი არასოდეს არ იკიწყებენ თავიანთ კლასობრივ ძმებს, თავიანთ მეგობრებს ჩვენი საერთო საქმისათვის ბრძოლაში. ხალხთა წმიდათაწმიდა ბრძოლას თავიანთი ჭრაგვრელების წინააღმდეგ

ამხანაგ ბ. ნ. პონომარიოვის მოხსენების დასასრული

ერ აღიაროს, რომ ეს სიტყვები ისევე სწორია დღეს, როგორც მაშინ, როცა ნათქვამი იყო.

მტრები არ მალავენ თავიანთ სიხარულს იმის გამო, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა მიზეზით სიძნელეები შეიქმნა კომუნისტურ მოძრაობაში. მტრები ახლა გაჯავრიან, კომუნისტური მოძრაობა გაითიშა, კომუნისტები „ეროვნულ ბინებს" უბრუნდებიანო. ისინი ახლა მთავარ იმედს ამყარებენ რეაქციულ ნაციონალიზმზე და ვარაუდობენ, რომ მისი დახმარებით შეძლებენ ბოლო მოუღონ კომუნიზმს. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს და არც მოხდება. კომუნიზმი დაამარცხებს რეაქციულ ნაციონალიზმს! **(ტაში).** რა უდევს საფუძვლად ამ ჩვენს რწმენას?

ის, რომ სოციალისტური ქვეყნების ყველა კლასს, სოციალურ ჯგუფებს კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო მიზნები აქვთ. მათი იმპერიესები ერთმანეთს ემთხვევა როგორც ეკონომიკის დარგში, ისე პოლიტიკის დარგშიც. მათ ყველას ჰყავთ საერთო მტერი — იმპერიალიზმი. ისინი ყველანი დაინტერესებული არიან იმით, რომ შეკავშირდნენ თავიანთ სოციალისტურ მონაპოვართა დასაცავად, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად. სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხი დიდად არის დაინტერესებული, რომ უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს თავიანთი რიგები, რაც უზრუნველყოფს ახალი საზოგადოების მშენებლობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობების გადაჭრას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სოციალისტურ თანამეგობრობაში წარმოშობილი ზოგიერთი წინააღმდეგობანი, ცენტრიდანული ტენდენციები სოციალისტური წყობილების პუნებიდან როდი გამომდინარეობენ. ისინი მნიშვნელოვანწილად განპირობებული არიან ისეთი წარმავალი მოვლენებით, როგორიც არის პიროვნების კულტი, სოციალიზმზე გადასვლის საქმის სიახლე იმ ქვეყნებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი სოციალური, ეკონომიური და კულტურული დონით, თავიანთი ისტორიული წარსულით. ხშირად ეს, როგორც ამაა ჩინეთის მაგალითით ეხედავთ, მცდარი, არასწორი პოლიტიკის შედეგია. მაგრამ სოციალიზმმა უკვე დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს აღმოფხვრას პიროვნების კულტი და მთელი მისი მძიმე შედეგები. სოციალიზმის განვითარება სულ უფრო მეტად აღმოფხვრის წარმოგალ მოვლენებს და შეკავშირებს ხალხებს. კომუნისტთა იდეური სიმაღლე უზრუნველყოფს მათს გამარჯვებას ნაციონალისტურ გადახვევებსა და გადახრებზე.

მარქსისტ-ლენინელთა როლი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის ობიექტურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით აქტიურად იბრძოლონ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისათვის. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უბადოესი ამოცანა კომუნისტური პარტიების მტკიცე საქმიანობა იმისათვის, რომ აღზარდონ მასები სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აღმოფხვრან ნაციონალისტური გადმონაშთები როგორც თავიანთი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობაში, ისე სხვა ქვეყნების ხალხების მიმართ. ჩვენი ლენინური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავიანთ საქმიანობაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე განუხრელად ხელმძღვანელობენ დიდი ლენინის ანდერძით, აჩვენებენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრაქტიკულად განხორციელების მაგალითს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შენობას საძირკველი ჩაუყარეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა. პირველი ინტერნაციონალის მეშვიდეკუთხედში ერთგული მარქსისტ-ლენინელებისათვის ეს ღვიძლი სანქვია, ერთიანობის სიმბოლოა და მთელი მათი ბრძოლის სიმიდრე, რეალური დასაყრდენია. და ისინი არ დაუშვებენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმე შერყეულ იქნას, მოგვერიებენ მის შიმართ ყოველგვარ ხელყოფას! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

3. მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა რევოლუციური საქმის შემდგომ გამარჯვებათა საწინდარია

ამხანაგებო! დღეს, როცა თვალს ვაგლებთ გზას, რომელიც მუშათა კლასმა განვლო ასი წლის მანძილზე, ნათლად ვხედავთ ურთიერთკავშირს საზოგადოებრივ პროგრესსა და კომუნისტური მოძრაობის განვითარებას შორის. რაც უფრო მძლავრი ხდება კომუნისტთა საერთაშორისო არმია, მით უფრო სწრაფად ვითარდება კაცობრიობა, მით უფრო ფართოა რევოლუციური მოძრაობის ფრონტი, მით უფრო მეტი სარგებლობა აქვთ შრომის ადამიანებს. მარქსისტულ-ლენინური პარტიების საქმიანობის მეოხებით ხალხებმა ახლა კარგად იციან, თუ ვინ არიან კომუნისტები.

კომუნისტები ისეთი პარტიაა, რომელიც მთელ თავის ძალღონეს აბარებს მუშათა კლასის, ყველა შრომელის სწორი განთავისუფლების საქმეს, კოლონიალიზმის სავსებით ამოძირკვის საქმეს. კომუნისტები ისეთი პარტიაა, რომელიც მტკიცედ და თავდადებით იცავს მშვიდობას, შეუთავრად იბრძვის ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ.

კომუნისტები ისეთი პარტიაა, რომელმაც მთელი ძალღონე მოახმარა ყველა ქვეყნის შრომელთა ძმური კავშირის შექმნას, მხარს უჭერს მთელ რევოლუციურ ძალებს და რომლისთვისაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმი წმიდათა-წმიდა კანონია.

კომუნისტები ისეთი პარტიაა, რომელიც, ძალაუფლებას რომ მოიპოვებს, საზოგადოების მთელ ძალებს რაზმავს სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, საწარმოო ძალების განვითარებისათვის, რათა გაწუწყვეტლივ მაღლდებოდეს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, უზრუნველყოფილ იქნას მათი ნამდვილი თავისუფლება.

კომუნისტებმა მსოფლიო მასშტაბით ლაამტკიცეს, რომ სწორედ ისინი გამოხატავენ მშრომელი კაცობრიობის ძირეულ ინტერესებს, რომ წინსვლა ჩვენს საუკუნეში ნიშნავს მიდგომდე კომუნისტებთან ერთად!

კომუნისტების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელმძღვანელობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიით. „კომუნისტური პარტიის მანიფესტს" გამოსვლის მომენტიდან მეცნიერული სოციალიზმის იდეებს გააფთრებით უტევს ბურჟუაზიული იდეოლოგია. ეს ბრძოლა მეცნიერული კომუნიზმის სულ უფრო ამკარა უპირატესობით წარმოებს. გასულ საუკუნეში სოციალიზმის იდეები ფართოდ გავრცელდა, დამკვიდრდა ხალხთა ფართო მასებში. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ მეცხრამეტე სოციალიზმი გახდა ჩვენი საუკუნის დროშა. კაპიტალიზმი ამ საუკუნეში გაუფერულდა და დაკნინდა, მას არა აქვს იდეები, რომლებსაც შეუძლია მიიზიდოს მშრომელები. და ეს ფაქტი თვალნათლივ მოწმობს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაკოტრებასა და უნაყოფობას. მაგრამ ბურჟუაზია, რომელიც მარქსიზმის სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფარ-ხმალს არა ყრის. იგი კომუნიზმის წინააღმდეგ რაზმავს მთელ თავის ძალებს, ანტიკომუნიზმის სამსახურში ჩაყენა მთელი სახელმწიფო აპარატი. ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეტევითი ბრძოლა გაწარმოოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მისი საბოლოოდ განადგურების გადამწყვეტი პირობაა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, სოციალიზმის დიდი იდეების პრაქტიკულად განხორციელება.

ასი წლის მანძილზე მარქსიზმი იძულებული იყო ებრძოლა აგრეთვე მისდამი მტრულ იდეურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ თვით მუშათა მოძრაობის ფარგლებში. თვით მარქსი და ენგელსი იძულებული იყვნენ ეწარმოებინათ ძნელი ბრძოლა, როგორც ისინი ამბობდნენ, „სოციალისტური და ნახევრადსოციალისტური სექტების წინააღმდეგ", ბლანკისტებისა და პრუდონისტების, ბაკუნისტებისა და სხვა გამთიშველების წინააღმდეგ. შემდეგ იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა ორ ფრონტზე: მარჯვენა ფრონტზე — მეცნიერული სოციალიზმის ბურჟუაზიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მუშათა კლასი შეერიგებინათ კაპიტალისტურ სინამდვილესთან, და მარცხენა ფრონტზე — სხვადასხვა სექტანტურ-დოგმატურ ფსევდორევოლუციურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

გასულ საუკუნეში ცხოვრების მკაცრი გამოცდა გაიარა მუშათა მოძრაობის ყველა მიმართულებამ და მიმდინარეობამ. მან უარყო მარქსიზმისაგან მემარჯვენე გადახვეული როგორც ისეთი, რომლებიც მუშათა კლასს აშორებდნენ მაგისტრალურ რევოლუციურ გზას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხე გაქრა: სანამ არსებობს კაპიტალიზმი, იარსებებს რეფორმიზმი და რევიზიონიზმი, და არ შეიძლება შენელდეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ. მაგრამ ცხადია, რომ მუშათა მოძრაობისათვის ახლა მთავარი საფრთხე გახდა ფსევდომემარცხენე, ნაციონალისტური საფრთხე, დოგმატიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი სინთეზია ყოველივე მოწინავისა, რაც კაცობრიობის გამოუმუშავებია. იგი მდიდრდება ახალ ისტორიულ მოვლენათა ანალიზის საფუძველზე, ეეფლება თანამედროვე მეცნიერების მთელ სიმდიდრეს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის განუთავრებელად მუშათა მოძრაობა წინ ვერ წაიწევდა, ვერ მოიპოვებდა გამარჯვებებს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს დღეს. საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ასი წლის გამოცდილება მოწმობს, რომ იმ შემთხვევებში, როცა მარქსისტები შემოქმედებითს პოზიციებზე იდგნენ, დროზე და სწორად აფასებდნენ ცხოვრების ახალ მოვლენებს, მტრული იდეოლოგია განადგურებული აღმოჩნდებოდა ხოლმე, ასე ვთქვათ, ავანგარდულ ბრძოლებში. და პირიქით, იმ შემთხვევებში, როცა მარქსისტები გვერდს უვლიდნენ ახალს, ვერ ასწრებდნენ თავიანთი სამეზნოს დროზე დაზუსტებას, — მტრულ იდეოლოგიას ერთგვარად ეხსნებოდა ხელფეხი, მარქსიზმის პოზიციები დროებით სუსტდებოდა. ასე მოხდა პიროვნების კულტის პერიოდში, როცა კომუნისტთა თეორიული მუშაობის მოდუნებამ, რაც პიროვნების კულტმა წარმოშვა, შესაძლებლობა მისცა ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს გაეაქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა და თავიანთ ინტერესებისათვის სპეკულაციურად გამოეყენებინათ მეცნიერების ახალი აღმოჩენები, საზოგადოებრივი განვითარების ახალი მონაცემები. XX ყრილობის შემოქმედებითმა, გადამდგარმა დასკვნებმა ნიადაგი გამოაცალა რევიზიონისტთა და დოგმატიკოსთა სპეკულაციას, ხელთ მისცა კომუნისტებს მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის, მუშათა კლასის საქმის ახალი, მძლავრი წინსვლისათვის ბრძოლის უარისად ბასრი შეტევითი იარაღი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მუშათა მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც სიმბოლო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისა, როგორც დიდი ნიშანსვეტი რევოლუციური ძალების ახალ გამარჯვებათა გზაზე.

თანამედროვე მარქსიზმი არის მოძღვრება, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმ პერიოდთან შედარებით, როცა მხოლოდ გამოდიოდა ისტორიულ ასპარეზზე. მარქსიზმ-ლენინიზმმა უმაღლესი განსახიერება პპოვა კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელსაც მოძმე პარტიებმა ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი უწოდეს.

ამხანაგებო! უაღრესად პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ჩვენს დროში დგას საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე, დაბეჯითებთ მოითხოვს მუშათა მოძრაობის ყველა რაზმის მოქმედების ერთიანობის მიღწევას, მისი გათიშვის აღმოფხვრას. კომუნისტურ პარტიებს უაღრესად საპატიო მიანჩიათ კონტაქტებისა და თანამშრომლობის დამყარება სოციალისტ მშრომელებთან.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მუშათა მოძრაობა ორი გზით წავიდა: მარქსისტულ-ლენინური, კომუნისტური გზით, და სოციალ-დემოკრატიული გზით. ორივე გზამ ისტორიული შემოწმება გაიარა. და ყველა შემთხვევაში ცხოვრება იძლევდა ერთსა და იმავე პასუხს: სწორია მარქსის, ენგელსის, ლენინის მიერ ნაჩვენები გზა. ყველა შემთხვევაში დადასტურდა, რომ მარქსიზმისაგან გადახვევა იწვევს გადახვევას სოციალიზმის იდეალებისაგან, ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ძირეულ ინტერესებს. ბერნშტეინი, მილიერანი, კაუტსკი, ვანდერველდი, პიღლეგრდინგი, ნოსკე — აი არასტული სია სახელებისა, რომელიც სიბოლოურად გამოხატავს მარქსიზმისაგან გადგომას. ამავე სახელებთან არის დაკავშირებული მთელი რიგი დამარცხებანი და მუშათა კლასის წინააღმდეგ დაწაშაულობანიც კი.

ომისშემდგომ წლებში მთელ რიგ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიას არაერთხელ მოუპოვებია ძალაუფლება, მაგრამ არსად არ გაუხორციელებია სოციალისტური მიზნების თუნდაც მინიმუმი, არსად არ გადაუქცევია მუშათა კლასი საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად. გამოცდილება არწმუნებს სოციალ-დემოკრატი მუშების მასებს, რომ „დემოკრატიული სოციალიზმის" დოქტრინა უუნებელია კაპიტალიზმისათვის და რომ ამ დოქტრინით ხელმძღვანელობა ნიშნავს წინასწარვე შეურიგდე კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებასა და ყველა მის შედეგს: უმუშევრობას, შიშს მომავლის წინაშე, სიღატაკეს, ომებს. ამასთან საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევები, მათი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა აძლიერებს მასების მისწრაფებას მარქსიზმის იდეებისადმი, კომუნისტური პარტიებისადმი. ყოველივე ეს იწვევს მუშათა მასების გამეფარცხენებას კაპიტალიზმის ქვეყნებში, ზეგავლენას ახდენს პროცესებზე, რომლებიც ახლა ხდება სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი ხელმძღვანელი თანდათანობით ხვდება, თუმცა ძალიან ნელა, რომ ორი იდეოლოგიის დავაში ისინი მართალი არ არიან; სხვანი უხალისოდ აღიარებენ, რომ მარქსიზმის აშკარა უარყოფა ზიანს აყენებს სოციალ-დემოკრატიული პარტიების გავლენას მასებში, ასუსტებს მათს პოზიციებს თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მუშათა და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში დაწყებულ პროცესებზე დიდი გავლენა მოახდინა სკკპ XX ყრილობის იდეებმა. შემდეგ კი — XXI, XXII ყრილობების გადაწყვეტილებებმა, ჩვენი პარტიის პროგრამამ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივა სოციალისტურ პარტიებთან კონტაქტების დამყარების საქმეში საბჭოთა კომუნისტების დიდმნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო, მუშათა მოძრაობის სხვადასხვა რაზმის მოქმედების ერთიანობისათვის ბრძოლაში. ვისაც სურს დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები, მას არ შეუძლია, უფლება არა აქვს, განსაკუთრებით ჩვენს დროში, არ ესწრაფოვნოდეს მისი რიგების შეკავშირებას!

უკანასკნელ ათწლეულებს ახასიათებს სოციალ-დემოკრატიის მეგარჯვენე ლიდერების მიერ მარქსიზმის უარყოფა. ახლა კი ისინი, სოციალისმის მზარდი ძალებისა და მარქსიზმისადმი მასების სიმპათიის ზეგავლენით აღნიშნავენ პირველი ინტერნაციონალის იუბილეს და ამ მიზნით სპეციალური კონგრესი მოიწვიეს. სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალს სურს მარქსისა და ენგელსის ინტერნაციონალის მემკვიდრედ გამოცხადდეს. საიუბილეო დღეებში სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ცდილობდნენ მარქსი რეფორმისტად წარმოესახათ, გამოეფტალთ მისი რევოლუციური მოძღვრება. მაგრამ მათი ეს ცდები ამაოა. მარქსის მოძღვრება იყო და არის უდიდესი რევოლუციური მოძღვრება. მარქსის სიმაღლე, პირველი ინტერნაციონალის ტრადიციების ნამდვილი მემკვიდრენი და გამგრძობნი არიან კომუნისტები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. **(მჭუხარე ტაში).**

უნდა ითქვას, რომ ბრიუსელში გამართული საიუბილეო ზეიმის ფინალი გონივრული სიტყვებიც, კეთილიც, იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშათა კლასის რიგების შეკავშირება ომის საფრთხის გამო. ამით შესაბამებულად ანსახა ძვრები, რომლებიც მოხდა დასავლეთის ქვეყნების მუშათა მოძრაობის წიაღში. პროლეტარიატი საპართლიანად მოელის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებისაგან, რომ რეალურ ნაბიჯებს გადადგამენ ერთიანობის გზაზე. ივდენასწავლი ინტერნაციონალის მეასე წლისთავი — ეს ხომ ნიშნავს დაუკავშირდეს მის ტრადიციებს, ეს ტრადიციები კი, რომლებიც ასახავენ მუშათა მასების ძირეულ ინტერესებს, მოითხოვენ ანტიკომუნიზმის პოლიტიკის უარყოფასა და მუშათა მოძრაობის ყველა რაზმის ქმედით თანამშრომლობას ორგანიზაციულ პლანით, ისე, ეროვნულ ფარგლებში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, მათ თავის მხრივ უკვე ნაბიჯი გადადგეს, რომ დახმარებოდნენ პატიოსან სოციალ-დემოკრატებს მოეშორებინათ ანტიკომუნიზმის ჯაბანზები, მისსდომოდნენ ერთ მაგრდას და შეემუშავებინათ მშეკოდის დასაცავად და სოციალიზმისათვის საბრძოლველად ერთობლივი მოქმედების ურთიერთმისაღები პლატფორმა.

ჩვენს დროში კაპიტალიზმის ქვეყნებში არის ხელშემწყობი პირსპექტივები იმისათვის, რომ მუშათა კლასის გარშემო შეიქმნას ფართო კოალიციები, რომლებიც ერთიანებენ ყველა, ვინც მზად არის იბრძოლოს მშვიდობისათვის, დემოკრატიის განსახლებისა და გაფართოებისათვის, მონოპოლიკაპიტალის ოლიგარქიის ძალაუფლების ლიკვიდაციისათვის. მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების ბირთვს შეადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. მარქსმა იწინასწარმეტყველა, რომ გლეხობის სხეთი"... პროლეტარული რევოლუცია მიიღებს იმ გუნდს, „რომლისადაც მისი სოლო ყველა გლეხურ ქვეყანაში გედ-ს სიმღერად გადაიქცევა". ეს შესანიშნავი იდეა, რომ საჭიროა მუშათა ბრძოლისა და გლეხთა მოძრაობის შეჯამება, ყოველმხრივ განვითარა ვ. ი. ლენინმა და ბრწყინვალედ განახორციელა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში. მას შემდეგ საერთაშორისო განვითარების მთელი მსვლელობა ადასტურებს მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის ნაყოფიერებას. ახლა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში ფართო ფრონტით ჩაება ინტელიგენცია. კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანები სულ უფრო შესამჩნევ ადგილს იკავებენ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. მარქსიზმს შრომისა და მეცნიერების ადამიანთა კავშირი მუშამ მიაჩნია კაპიტალიზმის მსხვრევის, ახალი წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანეს საწინდრად.

მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების იდეური წყარო და მთავარი გარანტია ითა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური ინტერნაციონალის, სტალინის პიროვნების კულტის ლიკვიდაციამ არა მარტო გათავისუფლა კომუნისტური მოძრაობა მძიმე ტვირთისაგან, რომელიც ბოროკედა მის განვითარებას. მან ჩვენი მოძრაობის თვითეული რაზმისაგან მოითხოვა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ერთიანობის განმტკიცებისათვის ისეთ საფუძველზე, როგორიც არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უმაღლესი პრინციპები. თვითეული პარტიის მტკიცე ნებაყოფლობითი მისწრაფება სხვა პარტიებთან თანასწორ მეცადინეობის ყოორდინაციისადმი. რა თქმა უნდა, კომუნისტური პარტიები შეძლებენ ხელის ნამდვილი ავანგარდი იყონ სოციალიზმისათვის ბრძოლაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოდიან როგორც დამოუკიდებელი ნამდვილად ეროვნული ძალა. მაგრამ ეს ორდი ნიშნავს, რომ მათ უნდა მისდიონ ანდაზას: „ჭერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო". იმისადმი მისწრაფება, რომ პარტიების დამოუკიდებლობა განმარტო როგორც სავრთო ინტერნაციონალური ამოცანების გადაჭრისათვის თავის აირდება. როგორც რაღაც თავისებური „ნეიტრალიტეტი" საერთო საქმეების გადაჭრისას, არასგზით არ შეიძენენ მიზეზულ იქნას არც დამოუკიდებლობის ნიშნად, არც სიმწიფის ნიშნად. ასეთი პოზიცია არ შეესაბამება არც მუშათა კლასის საერთო ინტერესებს, არც მისი ეროვნული რაზმების ინტერესებს.

თვითეული კომუნისტური პარტიის წარმატების გზა ერთი და მხოლოდ ერთია — ეს არის სწორი შეხამება თავისი დამოუკიდებლობისა ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებასთან. ახლაც ინარჩუნებს მთელ ძალას მარქსის შესანიშნავი სიტყვები: „გაიხსენოთ ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპი: სოლიდარობა. ჩვენ მოგვწევს დიდ მიზანს, რომელსაც ვესწრაფვით, თუ ყველა ქვეყნის ყველა მუშას მტკიცედ ჩავუნერგავთ ამ ცხოველმყოფელ პრინციპს".

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გამოშეკვეთ ნაციონალისტურ ხაზს ჩვენი პარტია და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები, მარქსისა და ენგელსის ანდერძის ერთგულნი, უპირისპირდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომელიც ეი უკვე ას წელზე მეტი ხანია სამშეიდოდ ემსახურება ჩვენს წინსვლას. მტკიცედ გვახსოვს, რომ ჩვენი რიგების გათიშვა დაზმარებაა კლასობრივი მტრისათვის, ხოლო შეკავშირების განმტკიცება ლაბავია ბურჟუაზიის მიმართ. ჩვენს პარტიას, ისევე როგორც ყველა ქვეყნის ინტერნაციონალისტულ-ლენინურ პარტიას, მიაჩნდა და მიაჩნია, რომ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, რომელიც მოდამ იყო მას, წარმატებების საწინდარი, მით უფრო საჭიროა დღეს. ჩვენი დევიზია: საგთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება, შეკავშირება და ერთხელ კიდევ შეკავშირება! **(მჭუხარე ტაში).**

მუშათა და კომუნისტური მოძრაობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა კომუნისტთა საერთაშორისო თათბირები. ასეთი თათბირების იდეას ფესვები გადგმული აქვს კომუნისტური მოძრაობის ტრადიციებში. უნდა გავიხსენოთ, რომ მარქსი და ენგელსი რეგულარულად მართავდნენ ინტერნაციონალის კონგრესებს, რომლებზეც კოლექტიურად ყალიბებდნენ მუშათა მოძრაობის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ჩვენი მოძრაობისათვის უძნელეს წლებში — კომუნისტური პარტიების ჩამოყალიბების წლებში ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესების სასტემატურად მოწყობას, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმატებათა აუცილებელ პირობად მიაჩნდა თანამებრძოლებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საერთო ხაზის შემუშავება.

ახლა, როცა განსაკუთრებით გართულდა ოდგომარეობა კომუნისტურ მოძრაობაში, მით უფრო საჭიროა ვმოქმედოთ ისე, როგორც მარქსი, ენგელსი და ლენინი გვასწავლიდნენ. ინტერნაციონალიზმის ორგანიზაციული ფორმები შეიცვალა. ახლა არ არის ნიადაგი ინტერნაციონალის ტიპის ცენტრალიზებული ორგანიზაციის არსებობისათვის. მაგრამ ინტერნაციონალური სოლიდარობა უაღრესად საჭიროა, და იგი უნდა ვითარდებოდეს იმ ფორმებით, რომლებიც შეესაბამება კომუნისტური მოძრაობის ახალ ეტაპს. ჩვენს პარტიას, ისევე როგორც მოძმე პარტიათა უმრავლესობას, მიაჩნია, რომ ახალი საერთაშორისო კომუნისტური ფორუმის მოწვევა უთანხმოებათა აღმოფხვრის საუკეთესო შეთოდია. ახლა თათბირის მიზანი, როგორც იგი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ესმის, არის არა ის, რომ ვინმე „მოკვეთოს" კომუნისტურ მოძრაობას, არამედ ის, რომ განამტკიცოს მისი ერთიანობა, განავრძოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მომწიფებულ პრობლემათა შემოქმედებითი დამუშავება.

ჩვენი პარტია, მიუხედავად ჩინეთის ხელმძღვანელთა თვალსაზრისისა და მათ მიერ დაწყებული ცილისმწამებლური ანტისაბჭოთა კამპანიისა, მეგობრობის ხელს უწვდის ჩინეთის კომუნისტურ პარტიას იმისათვის, რომ ერთად იბრძოლონ ბრძოლის წინააღმდეგ, მშვიდობის, ეროვნული თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის. **(ტაში).**

ჩვენი პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა და იხმარს იმისათვის, რომ შეკავშიროს კომუნისტური მოძრაობა, უზრუნველყოს მისი ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე. მარქსისა და ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური მოძრაობა მიდიოდა და, მიუხედავად ყველაფრისა, კვლავაც იკლის წინ, სულ უფრო და უფრო გაძლერდება. მარქსისტ-ლენინელებმა იციან, რომ მომავალი მათ ეკუთვნით! **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგებო! პირველი ინტერნაციონალის მეასე წლისთავს რომ აღნიშნავს, კომუნისტურ მოძრაობას დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გამოაქვს მომავლისათვის.

პირველი დასკვნა ის არის, რომ ჩვენი წინსვლის წარმატებათა უმნიშვნელოვანესი პირობაა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი ერთგულება. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებაში ორგანულად არის შეხამებული მისი ძირითადი პრინციპების დაცვა, ამ პრინციპებს როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან დამახინჯებისადმი შეურიგებლობა, თეორიის განვითარება საზოგადოების ცხოვრების ცვალებადი პირობების შესაბამისად. თეორიისადმი ასეთი ნამდვილად რევოლუციური მიდგომის მაგალითს გვიჩვენებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი დროის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მეორე დასკვნა, რომელიც კომუნისტებს გამოაქვთ, ის არის, რომ თავიანთ ქვეყანაში, თავიანთ უმანზე მთელი ძალონეთ მოახმარონ სარფოო რევოლუციური საქმის წარმატებას. მხოლოდ ასე უზრუნველყოფთ კომუნისტური მოძრაობია ყველა რაზმის კონცენტრირებულ შეტევას მსოფლიო იმპერიალიზმზე.

მესამე დასკვნა, რომელიც გამოგვაქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ასი წლის გამოცდილებიდან, ის არის, რომ მოდამ ეუხამებდეთ ერთმანეთს კლასობრივ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასა და რეაქციურ ომების წინააღმდეგ, მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას. მშვიდობისათვის ბრძოლა ამაკე დროს ყველაზე ფართო პლატფორმაა მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებისათვის სოციალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის დროშით, პირველი ინტერნაციონალის ერთ-ერთი მთავარი ტრადიციაა.

მეოთხე დასკვნა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ასი წლის ისტორიიდან ის არის, რომ არავითარ რევოლუციურ საქმეს წარმატება არ ექნება, თუ არ იქნა მუდმივი სიფხიზლე რევოლუციონალიზმის წინააღმდეგ, ულმობელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. რეაქციული ნაციონალიზმის მუდამ ხდება იმპერიალიზმის იარაღი, როგორც უნდა იყოს მისი წარმოშობის მიზეზები, რა სახითაც უნდა მოქმედებდეს და რა „ზერეფოლუციური" ფრაზითაც უნდა ინიღბებოდეს იგი.

ბოლოს, **მეხუთე დასკვნა.** ქვეყნად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების აყვავებისა და საბოლოო გამარჯვების საწინდარია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა. ვიყოთ მარქსისა და ლენინის ანდერძის, პირველი ინტერნაციონალის ტრადიციების ერთგულნი — ნიშნავს არა სიტყვით, არამედ პრაქტიკულად ვაკეთებდეთ ყველაფერს ჩვენი მოძრაობის ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

კომუნისტური იდეალებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის პირველი საუკუნე აღიხიშნა უდიდესი, ნამდვილად ისტორიული გამარჯვებებით. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიის თხუნელა თხრის, თხრის სწორი მიმართულებით. კომუნიზმის ძალები ახლა მოქმედებენ ყველა კონტინენტზე და ყველა ქვეყანაში. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ვექტორალური ხაზი საბოლოოდ გაირკვა: ეს არის კომუნიზმი. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარების მეორე საუკუნე უნდა იყოს და კიდევაც იქნება კომუნიზმის სრული გამარჯვების საუკუნე! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშას! გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!! გაუმარჯოს კომუნიზმს! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

პაკისტანელი სტუმრები

მინისტრი თ. გ. ლამჭარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი მ. ა. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ვ. ი. ჭიაურელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი გ. პ. ჩარქვიშვილი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

დელეგაციას მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი.

დღეს, — თქვა მან, — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწა-წყალზე გზდებით. ჩვენთვის ეს სასიხარულოა და დარწმუნებული ვართ, რომ ის, რასაც

პოეტი და დრამატურგი



საქართველოს ლიტერატურული საზოგადოებრიობა დღეს აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტისა და დრამატურგის ილო მოსაშვილის გარდაცვალების მეათე წლისთავს. ჭეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებით და დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომით მოსაშვილმა ძვირფასი-წვლილი შეიტანა საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიისა და დრამატული მწერლობის განვითარებაში, ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების გამომშავებასა და დამკვიდრებაში. თავისი ლექსებითა და პოემებით, პიესებითა და კინოსცენარებით, მხატვრული ნარკვევებითა და პუბლიცისტური წერილებით იგი ცხოვლად ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, განუყოფლად იყო დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან.

ადრეული სიჭაბუის წლებში დაიწყო ილო მოსაშვილმა პოეტური მოღვაწეობა და თავისი პირველივე ლექსებით მკითხველი საზოგადოების ყურადღება და მოწონება დიმსახურა. მაგრამ ქართული პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი და მნიშვნელობა მან ოციანი წლების მეორე ნახევრიდან მოიპოვა, როცა მის შემოქმედებაში განსაზღვრული ხვედრითი წონა თანამედროვეობის თემატიკამ დაიმკვიდრა. იგი გაბედულად უკავშირდება ახალ ცხოვრებას, ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის მიზნებსა და მისწრაფებებს:

აღარც ბიჭები ფეხშიშველები,
აღარც ხბორები,
აღარც თოლია,
მოვიდა გმირი რკინის ხელითი
და თავის გზაზე გამიყოლია.

პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების მთავარ შინაარსს ამ ახალი გმირის სახე, მისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყარო, მისი მიღწევებისა და გამარჯვებების ეპოპეა შეადგენს. მისი პოეზიის ლირიკული გმირი სისხლხორცეულად უკავშირდება ახალი დროების მზის ელვარებას:

ჩემო დროებავ,
მძლავრად გასწევ,
შენი აკვანი ლამაზი არი,
ამომაფრინე,
როგორც არწივი
მზის და ქარიშმლის თანაზიარი.

ჩვენი ეპოქის დიადი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალა მრავალმხრივ და მრავალფეროვან გამოხატულებას პოულობს ილო მოსაშვილის პოეზიაში. ლექსში „ოქტომბრის თაობა“ პოემა დიდი განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახე შექმნა, რომელშიც ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალა, ბუნებისა და ცხოვრების ღრმა განახლების პათოსი განასახიერა:

აღან ქვესკნელებს, ამოგაქვს ზღვები,
მდინარეები აპყარე ქვიმას
და შეგაქერიან ბებერი მთები,
თითქოს ელიან დამხობის ნიშანს.
თითქოს მინდვრებზე მწყობრი ნადერით
ხნულებს კი არა, — აწყობ სტრიქონებს
და წერ კედლებით, რკინით, აგურით
ახალი ქვეყნის ქორნინოებს.

თავის საუკეთესო ლექსებში, ჩვენი საუკუნის ქართული სამოქალაქო ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებში პოემა გულით უმღერა ოქტომბრის თაობის მიერ აგებულ ზაჰეს, ხალხის შთაგონებული შრომით ციტრუსოვანთა ბაღნარად ქცეულ კოლხეთის ველს, გაცოცხლებულსა და ახალი, დოვლათიანი ცხოვრებისათვის აღორძინებულ სამგორს, ყველაფერს, რაშიაც ჩვენი ხალხის შემოქმედი და აღმშენებელი ძალა, ჩვენი სამშობლოს აღორძინების დიადი ეპოპეა გამოვლინდა.

და ჩვენი დროების სადიდებლად ამღერებული ეს წრფელი ჰიმნი მით უფრო შთამბეჭდავად და მომხიბვლელად ეღერს, რომ პოეტი მძაფრი სიღრმეებით შესრულებულ სურათებში წარმოსახავს ჩვენი ქვეყნის დუხჭირ წარსულს, ხალხის ჩაგვრისა და მონობის ბნელ სამყაროს:

ჩემო სამშობლოვ, არ უმღერია
შენს შვილს არც ხნულში და არც ყანაში,
რამდენი წვეთი შაამი ერია
შენი დედების იავ-ნანაში...

მშობლიური ქვეყნის ამგვარი სუსხიანი და გაუხარელი წარსული ცხოვრების წყვდიადისაგან თავდაღწეული, ახალი, ნათელი ცხოვრების შენებელი ხალხის განუზომელ სიხარულსა და სიამაყის გრძნობას განასახიერებდა პოეტი, როცა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსში ამბობდა.

ჩემო სამშობლოვ, როგორ მალაღებ,
ყველგან სიამით სავსე გულია,
შეგზმედავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს, —
სიცოცხლე მართლა სიხარულია!
მოვა მნათობი, ყოვლის მშობელი.
გავახელ თვალს და მღერა მინდება,
ფილა ბედნიერ ამბის მთხრობელი,
როგორც ფრინველი მახარობელი,
ჩემს ფანჯარაში შემოფრინდება.

ამგვარი პატრიოტული მგზნებარებით უმღერდა ილო მოსაშვილი გმირული ბრძოლითა და დაუღალავი შრომით აღორძინებულ ჩვენს საბჭოთა სამშობლოს. დიდი სამამული ომის მრისხანე წლებში, როცა საბჭოთა ხალხი კაცობრიობის მთელ ისტორიაში უმაგალითო გმირობით იბრძოდა თავისი სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად ფაშიზმის სისხლიანი ურდოებისაგან, ილო მოსაშვილმა ფრთაასხმული ლექსებით უმღერა საბჭოთა ხალხის ამ სწორუპოვარ ვაჟკაცობას.

დდება ვაჟკაცს, გზა საომარი
წინ გაპფენოდეს იად და ვარდად!

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ილო მოსაშვილის საუკეთესო ლექსებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ბრძოლის ველიდან გამარჯვებულად დაბრუნებული ხალხის კანონიერი სიამაყის გრძნობით იმ უმაგალითო შემართებამ და შრომითმა გმირობამ, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა და თავისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას აღწევდა.

სამოქალაქო ლირიკის შესანიშნავი ოსტატი ილო მოსაშვილი ამავე დროს ფლობდა ადამიანის უაღრესად პირადულ განცდათა და გრძნობათა წრფელად გამოხატვის ნიჭიერებას, ბუნებისა და ყოფაცხოვრების კოლორიტული სურათების ხატვის ხელოვნებას. იგი იყო პოეტური ფერწერის, პოეტური პეიზაჟის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ი. მოსაშვილი დიდი ნაყოფიერებითა და წარმატებით მუშაობდა დრამატული მწერლობის დარგში. მისი პიესები: „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მომავლისა“ ომისშემდეგი პერიოდის ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ეს პიესები იდეურ-თემატური შინაარსის სიმდიდრითა და აქტუალობით, მძაფრი და დაინტერესებელი სიუჟეტით, მკაფიოდ გამოძერწილი ცოცხალი ადამიანური სახეებით, მეტყველი სცენური დიალოგებით გამოირჩევიან.

ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება მაშინ შეწყდა, როცა პოეტი თავისი შემოქმედებითი ძალების სრულ სიმწიფესა და დავაჟკაცებას იყო მიღწეული. მრავალი დიდი და კეთილშობილური შემოქმედებითი განზრახვა დარჩა მას განუხორციელებელი. მაგრამ ყოველივე იმით, რის შექმნაც მოასწრო, პოეტმა წარუშლელად ჩაწერა თავისი სახელი ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის ხსოვნაშიც.

ბესარიონ ჟღენტი.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სასიხარულო სიახლენი

● **გორის** საკონსერვო ქარხანაში ამუშავდა ახალი საამქრო, რომელიც წელს გამოუშვებს 1.400.000 პირობით ქილა კონსერვს ბავშვებისათვის.

ახალი საამქროს პროდუქციას — ვაშლისა და სტაფილოს პიურეს მომხმარებელი ორასგრამიან ქილებში მიიღებს.

დ. სურამელაშვილი

● **ვაზისუბნის** (გურჯაანის რაიონი) კოლმეურნეობაში მოეწყო ასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური.

ი. გოგსაძე.

● **ქოგულეთი.** (საკ. კორ.). ქალაქის განაპირას აჭარა-გურიის მიჯნაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი სასაუნზე „ჩოლოქი“. იგი 80-ადგილიანია.

უნივერსიტეტი მაღაროში

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროში შეიქმნა ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტი. მისი რექტორია ახალგაზრდა იმენერი გ. დევიძე. უნივერსიტეტს 35 მსმენელი აყავს. მათ შორის არიან წარმოების ნოვატორები, რაციონალიზატორები. ისინი უნივერსიტეტში გაეცნობიან ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის მერძეველობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობის ახალი კანტორა.

ფოტო ბ. შანავასი.

ჩემპიონატები • ტურნირები

პრეტენდენტთა ტურნირზე

სოხუმი. 29 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა მე-15 ტური. ყურადღების ცენტრში იყო ვ. ბორისენკო-მ. ლაზარევიჩის შეხვედრა. ბრძოლა მწვავედ დაიწყო. ბორისენკომ შესძლო პოზიციური უპირატესობის მიღება და ლაზარევიჩი იძულებული გახდა პაიკი დაეთმო. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადადო ლაზარევიჩისათვის მძიმე პოზიციაში.

კარგად ჩაატარა პარტია ა. კუშნირმა ლ. ლეინთან. ცენტრალური პაიკის მოგების შემდეგ მან იერიში მიიტანა მეფეზე და 24-ე სვლაზე გაიმარჯვა, ტ. ზატულოვსკაიამ გადადო პარტია ე. კარაკაშთან საკამო პოზიციაში.

მ. რანიკუმ 39-ე სვლაზე დაამარცხა ს. მოსჩინი, გ. გრეხერმა—ტ. ცენდი, ვ. ნედელკოვიჩმა — მ. თეოდორესკუ, კ. ზვორიკინამ — კ. ერეტოვა. დანარჩენი პარტიები გადადო.

დღეს დილით თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ მ. ლაზარევიჩ-კ. ზვორიკინა, მე-10 ტურიდან გადადებულ პარტიაში.

15 ტურის შემდეგ მ. ლაზარევიჩს 10.5 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვს, ა. კუშნირს — 10,5 და ერთი გადადებული, ტ. ზატულოვსკაიას — 9 ქულა და ორი გადადებული პარტია.

თ. გიორგაძე.

დღეს გადამწყვეტი მატჩია

მოსკოვი. 29 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ხელოვნთმი სსრ კავშირის ჩემპიონატზე გაიმართა ბოლოსწინა ტური. თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა ვილნიუსის „ჟელსბეტნისს“. ლიტველებმა შეხვედრის დაწყებისთანავე გახსნეს ანგარიში, მაგრამ ეს წარმატება დროებითი იყო. ქართველი ხელოვნთელები მალე დაწინაურდნენ და ტაიმიც მოიგეს — 17:10.

მატჩის მეორე ნახევარი ყოველგვარი გართულების გარეშე წარიმართა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 27:20 თბილისელთა სასარგებლოდ.

პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ“. იგი დამარცხდა მოსკოვის საადაიცო ინსტიტუტთან შეხვედრაში — 16:19. ამრიგად უკანასკნელი ტურის წინ ჩემპიონატის ლიდერს თბილისის „ბურევესტნიკს“ 19 ქულა აქვს, „ალუმინსტროის“ — 18.

ხვალ ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან. ოქროს მედლების მოსაპოვებლად თბილისელებს ერთი ქულაც ჰყოფნით.

ნ. ფოფხაძე.

ასპარეზობენ დუბლიორები

გუშინ თბილისში „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დინეცკის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობანი. ასპარეზობის ორივე ნახევარი მიმდინარეობდა მასპინძელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 2:0 (1:0). ეს თბილისელთა მე-16 გამარჯვებაა მიმდინარე ჩემპიონატში. ბურთები გაიტანეს ხუციშვილმა და ძიძიგურმა.

დუბლიორთა ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას სათავეში დინამოელთა ცენტრფორვარდი ე. ხუციშვილი უდგას, იგი 16 გოლის ავტორია.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ლეჟავა, სახვაძე, კოპინი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, ხარტიშვილი, ილიადი, ძიძიგური, ხუციშვილი, მაისურაძე, ვეკუა.

ფესვურობის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ უარყო როსტოვის სკა-ს პროტესტი ცსკა-სთან მატჩში, რადგან საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების დებულების თანახმად გატანილ ბურთზე პროტესტი განსახილველად არ მიიღება.

ჩოგბურთელთა პაექრობა

ბრძოლდება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა ჩოგბურთში. ქალთა და ვაჟთა პირად პირველობაში გაიმართა მეოთხეფინალური შეხვედრები. ა. მეტრეველმა ადვილად მოუგო პანკოვს (3:0), სივოხინმა — ბუტკოს (3:0), მოზერმა — ლამპს (3:0). დამამუშავებელ ბრძოლაში ნ. მძინარიშვილმა შესძლო დამამარცხებინა ი. პარმასი (3:2).

ყურადღებას იპყრობს გმამარჯვებულთა ორთაბრძოლები ნახევარფინალში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან მ. მოზერი და რ. სივოხინი, ა. მეტრეველი და ნ. მძინარიშვილი.

ქალთა შორის ნახევარფინალში გავიდნენ გ. ბაკშევეკა, კეკი, ტარანოვა. ვაჟთა წყვილებში ბრძოლას განაგრძობენ ა. მეტრეველ-ნ. მძინარიშვილის, მოზერ-პარმასის, პანკოვ-სივოხინის წყვილები.

„საქართველოს კომუნისტი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — შესულოების შემოწმება — პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში; წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი და ჩიხეთის კომპარტიის ხელმძღვანელები; **ნ. ცხაკაია** — ეკონომიკის ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები; **გ. აფრიდონიძე** — მუშათა პირველი საერთაშორისო ამხანაგობა; **რ. წულუკიძე** — სოციალისტური განაწილებიდან კომუნისტური განაწილებისაკენ; **ა. ჩავლეიშვილი** — ბულგარელი ხალხის გმირული შემართება; **გ. გვენეტაძე** — ყველა ეპოქის დიდი პოეტი.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია: **ო. კერძაია** — მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები; **ვ. ნინოშვილი** — პატრიოტული პროპაგანდა ახალი ამოცანების დონეზე.

გამოქვეყნებულია აგრეთვე განყოფილებების **„პრინციპიანა და ბიბლიოგრაფიის“** და **„პარტიული ქრონიკის“** მასალები.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია

დიდ მადლობას ვუძღვნით იმ პირებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის ღრმა მწუხარება პროფესორ ალექსანდრე **ვაჩეიშვილის** გარდაცვალების გამო.

ალ. ვაჩეიშვილის ოჯახი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პეკინში ჩავიდა

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 15 წლისთავის ზეიმზე თვითმფრინავით პეკინში ჩაფრინდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი.

პეკინის აეროდრომზე საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯუ დე, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი პინ ჯენი, საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლები, პეკინში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები.

ამავე თვითმფრინავით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 15 წლისთავის დღესასწაულზე ჩავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციები.

პეკინში უკვე ჩავიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის დელეგაციები.

ამერიკის პრეზიდენტის წინასაარჩევნო მოგზაურობა

ვაშინგტონი, 29 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ წინასაარჩევნო მოგზაურობა მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოაღმოსავლეთის ნუთ შტატში. ერთ დღეში იგი ეწვია და სიტყვები წარმოთქვა პროვიდენსში (როდაილენდის შტატი), ჰარტფორდში (კონეკტიკუტის შტატი), ბერლინგტონში (ვერმონტის შტატი), პორტლენდში (მენის შტატი) და მანჩესტერში (ნიუ-ჰემპშირის შტატი).

პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა არჩევნებში თავისი მოწინააღმდეგის — რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის სენატორ ბ. გოლდუოტერის საშინაპოლიტიკური და საგარეოპოლიტიკური პროგრამა; თუმცა, როგორც წინა გამოსვლებში, არ დაუსახელებია თავისი მეტოქე.

კერძოდ, ლ. ჯონსონი შეეხო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების პასუხისმგებლობის თემას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მათი მოვალეობაა იმოქმედონ პასუხისმგებლობითა და მამაცურად ხალხის ინტერესებისათვის“. ამერიკელმა ხალხმა, განაცხადა მან, უნდა გააკეთოს არჩევანი მთავრობას შორის, „რომელიც პასუხისმგებლობას იჩენს სხვა ქვეყნების მიმართ“, და იმ მთავრობას შორის, რომელიც „უგუნური იქნება საზღვარგარეთ და უგულო საკუთარ სახლში“.

„კეთილგონიერება და პროგრესი, — როგორც აღნიშნა პრეზიდენტმა, — არის ახლანდელი მთავრობის ლოზუნგები“. ლ. ჯონსონმა პირობა მისცა თავის მსმენელებს, რომ თავისი ქვეყნის „მშვიდობასა და უშიშროებას“ აყენებს პარტიულ ინტერესებზე მაღლა.

ამავე დროს, განაცხადა პრეზიდენტმა, გოლდუოტერის ფრაქციამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო რესპუბლიკური პარტია, გაიღაშქრა „ძალის გამოყენებაში თავშეკავების“ ტრადიციული პოლიტიკის წინააღმდეგ. საგარეო პოლიტიკაში იგი ილაშქრებს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, სოციალური ხასიათის ყველა კანონმდებლობის წინააღმდეგ.

მან თავის პოლიტიკურ მეტოქეებს ბრალი დასდო, რომ უკანასკნელნი იმყოფებიან ილუზიათა ტყვეობაში, როცა აკრიტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ საგარეოპოლიტიკურ კურსს. პირველი ასეთი ილუზია, თქვა პრეზიდენტმა, ის არის, რომ ძალას ან ძალის მუქარას შეუძლია გადაჭრას ყველა პრობლემა. „ჩვენს სამხედრო ძლიერებას აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა ჩვენი უშიშროებისათვის და დიდი მნიშვნელობა ჩვენი გავლენის თვალსაზრისით“, — თქვა ჯონსონმა. „მაგრამ, იგი არ შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შევაშინოთ სხვა სახელმწიფოები და ვაიძულოთ შასრულონ ჩვენი ბრძანებები“.

შემდეგი ილუზია ის არის, განაგრძო ლ. ჯონსონმა, რომ „შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მოითხოვონ ახლებურად გადაიჭრას ყველა მსოფლიო პრობლემა“. ილუზიაა აგრეთვე ის, რომ შეერთებული შტატები „შეძლებდნენ, თუ ამას დაბეჯითებით ეცდებოდნენ, ბოლო მოღებოდა სიძნელეებსა და საშიშროებას, შემდეგ კი მიეტოვებინათ მსოფლიო ასპარეზი“.

მიტინგი ბერლინში

ბერლინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში „ფრიდრიხშტადტ-პალასტში“ გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც შეიკრიბნენ საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მონაწილენი, რომელიც აქ მიმდინარეობს, აგრეთვე ბერლინის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მიტინგი მიეძღვნა I ინტერნაციონალის ასი წლისთავს.

მიტინგი გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა. სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჯ. ჰაგერმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, აგრეთვე იტალიის, საფრანგეთის, კანადის, არგენტინის, ცეილონის, სირიის, კომპარტიების წარმომადგენლებმა.

მიტინგმა ჩაიარა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიშნით.

უცხოეთის ამბები

ლ. ჯონსონის დაპირებები

მდგომარეობა მალავიში

ლონდონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). არეულობის შედეგად, რაც გუშინ მოხდა მალავის დედაქალაქ ზომბაში, დაწვეს მმართველი პარტიის მთავარი ბინა. აფრიკელთა ჯგუფმა ქვა დაუშინა მინისტრის პოსტზე ამ ცოტა ხნის წინათ — მალავის კონგრესის მთავარი ბინა. აფრიკელთა ჯგუფმა ქვა დაუშინა მინისტრის პოსტზე ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნულ გ. ჩაკუამბას და პოლიციის უფროსს ოფიცერს. აფრიკელებმა დაწვეს აგრეთვე მალავის ეროვნული ალამი.

ზომბასა და მალავის უდიდესი ქალაქის ბლანტაირის ქუჩებში დღეს, როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

მოკლე ცნობები

▲ **სირიის** იყოფილი დიქტატორი ადიბ შიშეკლი მოკლეს თავის ფერმა სერესში, გოიასის შტატში (ბრაზილია). მკვლელის არავითარი კვალი არ აღმოუჩენიათ. ადიბ შიშეკლი იყო სირიის პრეზიდენტი 1953 წლის ივლისიდან 1954 წლის თებერვლამდე.

▲ **კიპროსზე** ულუმა გამოიწვია წყალდიდობა თურქეთის ევროპული ნაწილის ბოსფორთან ახლომდებარე რაიონებში. წყალდიდობამ მოიცვა აგრეთვე სტამბოლის ცალკეული უბნები. დაზიანდა სატელეფონო კავშირი, შეწყდა გემების მოძრაობა სრუტეში, სადაც წყალმა წალეკა ნაპირზე მდებარე 11 თათსი კასრი. სოფლის რაიონებში დანგრეული და დაზიანებულია ბევრი სახლი.

▲ **ქალაქ** სანტა-ბარბარას (კალიფორნიის შტატი) რაიონში ერთ კვირაზე მეტია მძვინვარებს ტყის უზარმაზარი ხანძარი. ხანძრით მიყენებული ზარალი შეფასებულია 3,5 მილიონ დოლარად.

რაზე ფერდა გუშინ უცხოეთის პრესა

დღეს საზღვარგარეთის გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს მოსკოვიდან დიდ თეატრში საზეიმო სხდომის შესახებ, რომელიც პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავს მიეძღვნა. გამოქვეყნებულია კრებაზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი. პრესის ბევრ ორგანოს მოჰყავს აგრეთვე ამხ. ბ. ნ. პონომარიოვის მოხსენების ძირითადი დებულებანი. გუშინ მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქებში პირველი ინტერნაციონალის ასი წლისთავის გამო საზეიმო სხდომები გაიმართა. გაზეთებში გამოქვეყნებულია ანგარიშები ამ სხდომების შესახებ.

დასავლეთის პრესა კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობს გამოხმაურებას პრეზიდენტ ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებათა გამომძიებელი უორენის კომისიის მოხსენებაზე. ამერიკის გაზეთები ბევრს წერენ აგრეთვე იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც გუშინ მოხდა ქალაქ პროვინდენსში, სადაც ცეცხლი მოედო ერთ-ერთი ავტომობილის მოტორს, რომელშიც პრეზიდენტ ჯონსონის თანმხლები პირნი ისხდნენ. **„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“** ამის გამო წერს, რომ „ფაქტიურად დარღვეული იყო ყველა რეკომენდაცია უსაფრთხობის წესების შესახებ, რომლებიც უორენის კომისიის მოხსენებაში იყო წამოყენებული“.

სოციალ-დემოკრატთა წარმატება ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის და ქვემო საქსონიის მხარეების კომუნალურ არჩევნებში — **დასავლეთ გერმანია** გაზეთების ძირითადი თემაა. **„დი ველტი“** წერს, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან „პოლიტიკური დასკვნები გამოიტანონ“ არჩევნების შედეგებიდან. **„ფრანკფურტერ რუნდშაუ“** აღნიშნავს, რომ მთავრობის კოალიციის პარტიები დამარცხდნენ არჩევნებში.

(საკდესი).

ერთიანი სიმდიდრე — ხალხს

ჯაკარტა, 29 სექტემბერი. (საკდესი). ჰოლანდიელთა 227 და ინგლისელთა 104 პლანტაციის ნაციონალიზაცია მოახდინა ინდონეზიის მთავრობამ დამოუკიდებლობის წლებში. სახელმწიფო უმთავრესად კონტროლს უწევს კაუჩუკის პლანტაციებს — ინდონეზიის ძირითად ეროვნულ სიმდიდრეს.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

ა) **წარმოებისაგან მოწყვეტით — პედაგოგიკის თეორია,** ბ) **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ — ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია.**

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება, პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და პედაგოგიურ-მეცნიერული კვალიფიკაციის მუშაობის უნარი.

ასპირანტურაში მიღების მაფრიქელებმა **გამოცდები უნდა ჩაბარონ სკკპ ისტორიაში, სპეციალურ საგანში, რუსულ ენასა** და ერთ ერთ **უცხო ენაში** უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

ანგარიშებები ასპირანტურაში მისაღებად შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი და ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პირი დანართით; 2. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი (2 ცალად), 3. ავტობიოგრაფია (2 ცალად), 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (2 ცალად), 5. საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ; 6. დაწერილებითი დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (2 ცალად); 7. სია შრომებისა, თუ ასეთი აქვთ, და რეფერატი სპეციალურ დისციპლინაში; 8. ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 1964 წლის 25 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 ოქტომბრიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილს (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32, ტელეფონი 2-48-71).

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განაყოფილება

ქალაქ სოხუმში ხსნის რკინიგზის სკოლა-ინტერნატს ქართული და რუსული სექტორებით.

სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 1964 წლის 1 ოქტომბრიდან. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეები მიიღებიან მხოლოდ მე-3 და მე-4 კლასებში. მიღების დროს უპირატესობა ენიჭებათ რკინიგზელთა შვილებს.

დაწერილებითი ცნობების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სკოლის დირექციას შემდეგი მისამართით: ქ. სოხუმი, რკინიგზელთა დასახლება, რკინიგზის სკოლა-ინტერნატი № 2.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილება.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ოპერა

1 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ოვანესიანის „ერევანი კომედია“ (დასაწყისი საღამოს 8 საათზე), **მარჯანიშვილის სახელობის** — „ცენობა (მე-8 აბონ. მე-8 წარმოდგენა, დასაწყისი საღ. 7 ს. და 30 წ.), **გრიბოედოვის სახელობის** — ადამიანი ვარსკვლავებიდან (მე-11 აბონ. 1-ლი წარმოდგენა, დასაწყისი საღ. 7 ს. და 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (მე-40 აბონ. საღ. 6 ს.).

რადიო

1 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — კამერული მუსიკა, 09.15 — სიმღერები ქ. ღოღობერიძისა და ი. ზაქაიძის შესრულებით, 11.15 — სცენები რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლედან“, 12.10 — აფხაზეთის რადიოს გადაცემა — „კოლექტიური შრომის ბარაქა“, 12.25 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 13.40— ოსური სიმღერები, 17.15 — რ. გაბიჩვაძის კამერული ნაწარმოებები, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე — „„ქართველი მწერლები ბავშვებს“, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — „მღერის მუსლიმ მაგომაევი“, 19.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 20.15 — ჯიორდანო. ოპერა „ანდრე შენიე“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

თეატრები

30 სექტემბერი

ტელევიზია

1 ოქტომბერი

12.00 — კინონარკვევი, 13.00 — მხატვრული ფილმი „ზღვის